645
1966 / 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1966 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ფოტ. ქ. სუსუნიკაშვილის

მიმოზა გამრეკელაშვილი, პირველი რეკორდსმენი პლანერისტი ქალი საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამა მამისა სწავლასა ქალი ბრძნად მოისმინებდა,
ყურსა უპყრობდა, ისმენდა, წვრთნასა არ მოიწყინებდა.

ივნისი № 6 1966 წ.

# საქართველოს ქალი

10.053



ჩვენი გმირები

# ცხოვრების დიდ გზაზე

ნარკვევი

## რასაც კაცის ენა იტყვის

გიგას ჯერ კიდევ კარგად ვერ გაჯდომოდა მამობის ამაყი გრძნობა სისხლსა და ძარღვში, რომ ჯარში გაიწვიეს. მიდიოდა და გზადაგზა ფიქრობდა: აი, სამჯერ იფეთქებს ნუში და სამჯერ ამოაშენებს ბუდეს მერცხალი, სულ სამჯერ იმაჭრიანებენ, დარეტიანდებიან ოქროსფერ ოქტომბერში... და გიგაც შინ გაჩნდება. მოჩრიხული გოგო დაუხვდება, ენააცრილი კაჭკაჭივით რომ უთქმელს იტყვის და ენის წვერს დაუკოცნი. მერე შეუყვება ცხოვრების ციცაბოს... ფიქრები კვალდაკვალ მისდევდა რელსების გზა-წვრილს. ვიღაცამ გამოარკვია გიგა.

— რაო, ფიქრობ, ძმაო?

— ფიქრს რა გამოლევს, კაცო! — როყიოდ მიუგო გიგამ ნებივრად გაშოტილ წვევამდელს.

საფიქრებელი კი მართლაც ჰქონდა, და მერე როგორი საფიქრებელი?! ერთხელ ძლივს მოასწრო ნუშმა აფეთქება, რომ ომმა დაიქუხა... ძლივს აღწევდნენ სახლამდე სამად გაკეცილი ჯარისკაცული ბარათები, გზადაგზა ნაწერი, ნაუცბათევად. ქიმიური ფანქრის ნაკვალევს აშკარად აჩნდა ნერწყვის ლაქები... რამდენჯერ შეხებიან მას ფრთხილად, სათუთად, ფაქიზად, როგორც მიუწვდომელს, უხილავს. შეხებიან მთრთოლვარე თითებით და ცხელი ტუჩებით. მერე ნელნელა იკლეს სამკუთხა ბარათებმა. ნელნელა გაჭირდა ცხოვრება. თითქოს ცამაც იგრძნო სვასტიკის სისასტიკე, მოიღუშა, წარბები გადარაზა, თოვლი და წვიმა გამოურია. გიგა კი ამ დროს ქერჩის მისადგომებთან აყეფებდა ყავლგასულ შაშხანას. აღარ მოუწერია მეტი. დღეები გაიწელნენ, ღამეები გაჭიანურდნენ და ცრემლებმა უმატეს მარილი ლაწვებს. მოხუცი ფოსტალიონი სათოფეზე აღარ ეკარებოდა ჩერქეზიშვილების ჩანელებულ კერას. ბოლოს თითის წვერებზე მიიპარა იგი და კარის სახელურში გაჩხირა გაყვითლებული უწყება. მას წაკითხვა რაღად უნდოდა, მაგრამ წამკითხავნი თვითონ მოვიდნენ... ძლივს ამოღერღა თუ ამოჰკენკა მეზობლის გოგომ ასოები და კბილებს შუა გამოსცრა: ქერჩში დაღუპულაო გიგა ძია. კივად გაიკრიფნენ მეზობლები მაგიდაზე იდო ყვითელი ქაღალდი, რომელიც ასე წააგავდა ცოცხალ ... ტყვიას, ცეცხლს, ყველა უბედურებას, რასაც კი კაცის ენა იტყვის.

## დეიდა

ვისაც ერთხელ მაინც უძებნია კარადაში ერთი კბილი ნიორი... და ერთხელ მაინც დაუკარგავს პურის ბარათი, არავინ გაამტყუნებს ჩერქეზიშვილებს, სოფელს რომ მისცეს თავი. სოფელი მაინც ღონიერია ასეთ დროს. გაზაფხულზე ფანფარა და კოფრჩხილო შეგაშველებს ხელს, მერე ჭინჭარი და ნაცარქათამა... ქერი რომ შემოგახმება ხელში, ხომ ამოისუნთქავ. მერე ორადმოხრილი მეწისქვილე გამხმარი ხელებით რომ ჩაბერტყავს ხვიმრში ტომარას და პირჯვარს გადაიწერს... თონეს რომ ავარდება მათრობელი სურნელი... წყაროს წყალი და ტუჩმოტეხილი დოქი რომ შეგაშველებს სისველეს.

როგორც ყველა სოფელი, ზელდულეთიც წელში წყდებოდა და იტანდა ომის საშინელ დღეებს. ზელდულეთლებმა წარბი გაუხსნეს დაობლებულ დედაშვილს, თან ნუგეშის სიტყვა უთხრეს:

— უწყებას ვინღა ენდობა ამ ჯოჯოხეთში, ქალო!

— ე ბავშვს შენი ვიშვიშით ხომ არ დააპურებ?!

მოდი, და ნუ იფიქრებ, ჰოდა, ამოდენა ქვეყანაზე, ვინ იცის, მართლაც გადაურჩა გიგა ტყვიას? განა ასე არ დაბრუნდა მეზობლის ბიჭი? ცალი ხელი აღარა აქვს, მაგრამ ამას ვინ ჩივის? ცოცხალი იყოს, ისუნთქოს! ჭირს გამაგრება უნდა. ჭირის წამალი კი შრომაა. დედამ კოლმეურნეობას მიაშურა. პატარა ნანული კი დეიდის ამარა დარჩა...

ტკბილსახსოვარია ბავშვობა, როგორიც უნდა იყოს ის. ძეძვის ეკლებზეც რომ იარო შიშველა ფეხებით, მაინც დაგამახსოვრდება ის, რასაც შემდგომ სანთლით რომ ეძებო, ვეღარ იპოვი. ასე ახსოვს ნანულის ის დღეები, დეიდა-მარიამი. პირველმა მან მისცა სულის საკვები, გრძელი ცხოვრების ნუზლი... კარგ მებაღესავით უვლიდა მის თოთო ნიადაგს. ყველაფერი თავის ადგილას დარგო, დროულად მორწყა, კვირტი დაასხა და როცა იფეთქა ნაამაგარმა, თავისთვის ჩაილაპარაკა: მაისშია დაბადებულიო.

დღეები ილეოდა. დაილია სვასტიკის უდღეური დღეებიც. ნანული ახლა დედასაც მიეშველა. საქმე ბევრი იყო. კაცები ცოტა, ისინიც ხეიბრები და ჯანგატეხილები. აჩეხილ ვენახსავით შეჰყურებდა მათ სოფელი, როდის ამოიყრიდნენ სამამულე რქას... აკვნის ჭრიალი მოენატრა სოფელს, და როცა პირველი მერცხლები ჩაიკრეს არტახებმა, ცხოვრება ძველი გზით წავიდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს ამ გარუჯულსა და ნაწამებ დედამიწაზე.

## ცამეჯი

რას არ ჰყვებიან ამ რაჭხვზე, ვინ იცის, რას არა. კვიმატიაო, იტყვიან ერთი სიტყვით, გაშოროთ სასწაულმა ყოველივე ... მაგრამ ამაზე ქვემოთ...

დრომ ხორბლისფრად შეფერა ნანულის ღაწვები. მერე მწიფე მაყვლისფერი წაუცხო წამწამებსა და წარბებს. არც თვალის გუგებს მოაკლო კუნაპეტი. გოგო თვალსა და ხელშუა დაემგვანა ყანაში ობლად ამოზიდულ ყაყაჩოს, ნიადაგ გზისკენ რომ რჩება თვალი. ნანულისაც გზისკენ ეჭირა თვალი...

1955 წელს იგი კომკავშირში მიიღეს. ვიდრე რაიკომის ბიუროზე გაიყვანდნენ, გორი დაათვალიერეს. ლიახვის ნაჭალარზე კომბინატი ვაჟკაცდებოდა, საქორწილო ჩოხას იკერავდა. რაებს არ ამბობდნენ უცნაურ მანქანებზე, რომლებიც ჭრელ ფარჩებად აქცევდნენ თოვლისფერ ბამბას. მერე და ეს ვარდისფერი სახლები ვისია? ფეიქრების? ეს სასწავლებელი? ისიც?! მაგრამ ჯერ კიდევ დიდი მანძილი იდო წინ და ვინ იცის, რამდენჯერ შეიცვლიდა ყაყაჩო გუნებას. დრო კი ფრთებს კეცავდა. 1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. ყაყაჩომ ფეხაკრეფით მიატოვა ყანა... პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კარებს მიადგა. დეიდას წარბიც არ შეუხრია, წააქეზა, შეაქო კიდეც გოგო სწორი ნაბიჯისათვის. ყველაფერი კარგად მიდიოდა თითქოს. დრომაც მოაწია. მქსოველების ახალი ნაკადი უნდა გამოეშვათ.

— სად დავაყენოთ ჩერქეზიშვილი? — იკითხეს კომბინატში.

— კომპლექტი № 13.

„ცამეტი?“ — იყუჩა გოგომ. თვალი შეავლო დაზგების რიგს და ფრთხილად გასწია იქით. საამქროს უფროსი წინ წავიდა, მერე გოგო იხმო თავისთან და ყურში ჩასძახა ოდნავ ხმამაღლა:

— ესეც შენი ცამეტი!

დაზგები რიტმში აჰყოლოდნენ თახამოძმეებს და თითისწვერებზე აწეული ნანულის მისვლა არ გაუგონიათ. მათ სულაც არ ახსოვდათ კვიმატი ნომერი და მალე გოგოსაც დაავიწყეს ყველაფერი, გარდა თავიანთი თავისა...

## 3+9+6

საამქროს უფროსი ოთარ ტლაშაძე, ქვეოსტატი სპირიდონ ტლაშაძე და ოსტატი ვანო თეთრაძე ფრთხილობდნენ ახალმოსულებთან. ისინი ძალზე მგრძნობიარენი და მიზეზიანნი არიან. თონე სანამ ცხელია, მანამ უნდა ჩააკრა, თორემ გაციებულმა თონემ კუტი პური იცის. ნანულის სამი დაზგა მიუჩინეს. ბევრია სამი! ჭირდა მათი შემოვლა და პატრონობა. გულისყური უნდა ამ ბამბის სიმებს. წყდებიან და ჭირვეულობენ. გულისყური კი არა, მიფერება უნდათ. პირველი სიხარული მაშინ მოვიდა, დაზგებს რომ პირველად ჩამოხსნეს ქსოვილი. როგორ არ უნდოდა სხვა ქსოვილში არეულიყო მისი ნაქსოვი!

საამქროს უფროსი კმაყოფილი იყო. არ გასულა სამი თვე და 9 დაზგა მიუმატეს. თორმეტი! ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო. ჯარასავით ტრიალებდა გოგო და ხელიც ბარაქიანი ჰქონდა. დავალება? მისი გვარის გასწვრივ ამაყად იდგნენ მეტყველი ციფრები: 110, 120, 130...

ექვსი დაზგაც მიუმატეს. ასე გახდა 18. თვრამეტ დაზგას რომ მოემსახურო ცვლაში, 16-17 კილომეტრი უნდა გაიარო... თვრამეტი დაზგა 36.000 მეტრი ქსოვილია თვეში... გოგოს მეტი სიბეჯითე დასჭირდა და მალე მოერია დაზგებს, მოერია კი არა, დაუჯერეს.

ყაყაჩო კი შორს აპირებდა წასვლას. 1965 წელს, როცა ფაბრიკაში შეაჯამეს ნაკისრი ვალდებულებები, წინ № 13 კომპლექტი იდგა... კომპლექტის წევრები: ნანული ჩერქეზიშვილი, ჟუჟუნა ვეფხვაძე და ვერა კადანოვა ცას ეწეოდნენ სიხარულით. მეტიც: № 13 კომპლექტს კომუნისტური შრომის კომპლექტის სახელი მიანიჭეს! სიხარული ორი ფეხით შემოდიოდა ნანულის ცხოვრებაში. შარშან იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. ნანული — საქართველოს და საკავშირო კომკავშირის ყრილობის დელეგატი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრი — ერთი საფასურით უხდის პარტიას, ხალხს, მშობლიურ კომბინატს ამაგს — შრომით.

* * *

— მარტო ჩვენ რას გავხდებით? — თქვა ერთხელ ნანულიმ.

— როგორ? — ჰკითხეს ვერამ და ჟუჟუნამ.

— სხვებიც უნდა გავიყოლიოთ.

— არაფერი გვესმის!

— უბრალოდ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ჩვენს ფაბრიკაში ყველა მქსოველი უნდა ასრულებდეს გეგმას!

— ფაბრიკა ხომ მოწინავეა?

— მოწინავეა მხოლოდ მოწინავეთა ხარჯზე!

— მაშ?..

— დღეს პარტბიუროში მოვილაპარაკებთ.



ნანული მეგობრებთან

დიდხანს, გვიანობამდე ისხდნენ პარტბიუროს მდივნის როლანდ ბერიაშვილის კაბინეტში. სადღაც შორს, ნათელი კედლების იქით კი არ ისვენებდნენ დაზგები და თითქოს ხელგაწვდილები ელოდნენ ნანულის, მის მეგობრებს.

## დიდი გზის დასაწყისი

არის თარიღები, რომლებიც ცხოვრებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. მათ მოწიწებით ვინახავთ, ვუფრთხილდებით. ასე შემოიჭრა ნანულის ცხოვრებაში 1966 წლის 2 აპრილს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით ნანული ჩერქეზიშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ცხოვრების 26-ე წელზე გმირი რომ გახდე, გმირობაა.

ისევ 1966...

გმირი გოგონა მშრომელებმა ერთსულოვნად აირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

... იგი წყნარად ზის. რაოდენი შინაგანი ენერგიის დაძაბვაა საჭირო, რომ თვალებმა არ გასცეს დიდი სიხარულის თრთოლვა, რომ ბაგეებში არ გამოჟონოს ღიმილმა. არა, ნანული თითქოს წყნარად ზის და ვატყობ კი — ჩქარობს.

— სად გეჩქარება, ნანული?

— სამუშაოზე.

— ნანული, შენი მეგობრები დაოჯახდნენ, მგონი...

ვიდრე რამეს მეტყოდა, წამწამებმა გასცეს. მაგრამ მიპასუხა მაინც:

— ჯერ ინსტიტუტი უნდა დავამთავრო...

— პედაგოგი უნდა გახდე?

— განა მარტო დაზგებს სჭირდებათ მიფერება?

გმირს გმირული კილოც აქვს და აზრებიც. ვუმზერ ქალიშვილის ძუნწად მონუსხულ სახეს, თვალების სიღრმეში ანთებულ კოცონს და ახლა განსაკუთრებით მაგონებს იგი ჯეჯილში ამოსულ ყაყაჩოს, გზისკენ რომ რჩება ნიადაგ თვალი. ვუმზერ და ვხედავ, როგორ ნელნელა ჩამოდის იგი ბილიკზე, ისწორებს ქათიბს და გამოდის გზაზე...

...მერე და რამდენია დიდი და კეთილი გზა ამქვეყნად.

**ბეგლარ ნოზაძე**

# ქართველი ხელოვნები შოთა რუსთაველს



ბესარიონ ჟღენტი

ეს ერთი თვეც და ქართველი ხალხი, მთელი საბჭოთა ქვეყნის ხალხთან ერთად, ზეიმით აღნიშნავს უკვდავი პოეტის — შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. ბუნებრივია, ისმება კითხვა, რა შექმნეს ქართველმა ხელოვნებმა — შოთას მემკვიდრეებმა დიდი წინაპრის უკვდავსაყოფად და განსადიდებლად. ამ მიზნით ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ მოიწვია საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი, საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე — მხატვარი ზურაბ ლეჟავა და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე — კომპოზიტორი სულხან ნასიძე, რათა მათ მოეთხროთ ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის იმ დიდი სამზადისის შესახებ, რომელიც რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის მიმდინარეობს

— მიუხედავად იმისა, — გააცხადა საუბარში საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარემ, კრიტიკოსმა ბესარიონ ჟღენტმა, — რომ არსებობს რუსთაველის საიუბილეო კომიტეტი, მაინც შოთას დღეებისათვის მზადების მთელი სიმძიმე მწერალთა კავშირმა უნდა იტვირთოს. ქართველი მწერლობა დიდი პასუხისმგებლობით ემზადება თავისი უკვდავი წინამორბედის იუბილესათვის.

საიუბილეო დღეებში მკითხველი მიიღებს ქართველი მწერლების კოლექტიურ წიგნს — „ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს" (გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება"). ჩვენი დღევანდელი მწერლობა რუსთაველის ნაკვალევს მისდევს და შთაგონებულად უმღერის დიდ პოეტს.

მწერალთა კავშირის ყველა ბეჭდვითი ორგანო არა მარტო საიუბილეო ნომრებს მიუძღვნიან ჩვენს დიდ წინაპარს, არამედ, ამ წლის დასაწყისიდანვე ეს ორგანოები სისტემატურად ბეჭდავდნენ მასალებს „ვეფხისტყაოსანსა" და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ, ლიტერატურულ საკითხებზე. საქართველოს მწერალთა კავშირში შექმნილია სპეციალური პრესბიურო, რომელიც საიუბილეო მასალებს აწვდის არა მარტო ჩვენს რესპუბლიკას, არამედ მოძმე ხალხებისა და საკავშირო პრესის ორგანოებს. ბესარიონ ჟღენტმა გვიამბო გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" დაძაბული საგამომცემლო მუშაობის შესახებ: იგი ამზადებს „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო გამოცემებს რუსულსა და უცხოურ ენებზე, სცემს აგრეთვე მთელ რიგ მონოგრაფიებსა და კრებულებს, რომლებიც დიდი შოთას სახელთანაა დაკავშირებული. საინტერესოა მკითხველებს გავაცნოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: მწერალთა კავშირმა გამოსაცემად მოამზადა „ვეფხისტყაოსნის" რუსული ბწკარედის ახალი რედაქცია. ეს გამოცემა დიდ დახმარებას გაუწევს „ვეფხისტყაოსნის" მთარგმნელებს.

როგორც ცნობილია, სექტემბერში თბილისში შედგება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირების გამგეობათა გაერთიანებული პლენუმი. ეს პლენუმი იქნება ერთერთი უმთავრესი საიუბილეო ღონისძიება, რომელზეც მრავალმხრივად უნდა გაშუქდეს „ვეფხისტყაოსნის" როლი ქართულსა, საბჭოთა და მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. საქართველოს მწერალთა კავშირი დაძაბულად ემზადება ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ღირსეულად ჩატარებისათვის. მწერალთა კავშირში შექმნილია მომხსენებელთა ჯგუფი, ჩამოყალიბებულია მწერალთა ჯგუფები, რომლებიც რუსთაველისადმი მიძღვნილ ლექციებსა და საღამოებს მართავენ მთელს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით კი შორეულ კუთხეებში: სამხრეთ საქართველოში, სვანეთში, ხევსურეთში, მთიან აჭარაში... განზრახულია ასეთივე ლექცია-საღამოების ჩატარება საინგილოშიც... თავად მწერალთა კავშირში სისტემატურად ეწყობა რუსთველოლოგების საუბრები, იმართება მსჯელობა რუსთაველის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის" ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემებზე. საუბრებში მონაწილეობას იღებენ რუსთველოლოგიის სპეციალისტები...

* * *

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარეს — მხატვარ ზურაბ ლეჟავას მრგვალ მაგიდასთან რამდენიმე შეკითხვა მივეცით.

კითხვა: რომელი მხატვრები მუშაობენ „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებზე?

პასუხი: „ვეფხისტყაოსნის" ცალკეულ საიუბილეო გამოცემებში მკითხველი კვლავ შეხვდება ლადო გუდიაშვილისა და სერგო ქობულაძის ილუსტრაციებს. მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო „ვეფხისტყაოსნის" იმ გამოცემაზე, რომლის ილუსტრაციები მე-17 საუკუნის ქართველ მხატვარს – მამუკა თავაქარაშვილს ეკუთვნის, ეს მინიატურული ფორმის ილუსტრაციები გამოირჩევიან თავისი მხატვრული ღირსებით, და ამასთანავე, რაც მთავარია, დაზღვეულნი არიან გავლენებისაგან. ვფიქრობ, ინტერესსმოკლებული არ იქნება ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველებისათვის შემდეგი ამბავიც: მზადდება „ვეფხისტყაოსნის" გამოცემა შერეული ილუსტრაციებით — ირ. თოიძის, მიხ. ზიჩის და უცხოელ მხატვართა ილუსტრაციებით.

კითხვა: ცნობილია, რომ ქართველი მხატვრები დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან შოთა რუსთაველის იუბილესათვის. საინტერესოა, რომელმა მხატვრებმა აამეტყველეს ტილოზე „ვეფხისტყაოსანი" და შოთას ეპოქა?

პასუხი: იუბილესათვის მზადება ერთი და ორი დღის ამბავი როდია. ქართველი მხატვრები დიდი ხანია სწავლობენ უკვდავ პოემას და მის ავტორთან დაკავშირებულ ყველა დეტალს, ეპოქას, ყოფას, გარემოს, პეიზაჟს. ამ მიზნით ქართველ მხატვართა ჯგუფებმა მოიარეს ვარძია, მესხეთი. უჩა ჯაფარიძე, სევერიან მაისაშვილი, რობერტ სტურუა, აპოლონ ქუთათელაძე, ალექსი ვეფხვაძე, ლევან ცუცქირიძე ყალმით აცოცხლებენ დიდი შოთა რუსთაველის გმირებს. აღსანიშნავია მხატვარ ქალთა მონაწილეობა ამ დიდ ღონისძიებაში. მხატვარმა ნათელა იანქოშვილმა მეტად საინტერესოდ, თამამი მანერით შეასრულა „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციები. რუსუდან ჯავრიშვილმა თავისი ნახატების თემად ვარძია და მისი პეიზაჟები აირჩია. ცნობილი მხატვარი ქეთევან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზურაბ ლეჟავა

ძალალაშვილი რუსთაველის პრემიის ლაუოეატების პორტრეტებზე მუშაობს.

კითხვა: ქართულმა ჭედურმა ხელოვნებამ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. ამ ხელოვნების ამაღორძინებლები ახალგაზრდები არიან. რა წვლილი შეაქვთ რუსთაველის იუბილეში ამ ახალგაზრდებს?

პასუხი: შეიძლება თქვენთვისაც ცნობილია, რომ მოსკოვში, მანეჟში, ამიერკავკასიის მხატვართა დიდი გამოფენა ეწყობა. აი, სწორედ ამ გამოფენაზე დაიჭერს დიდ ადგილს ქართული ჭედური ხელოვნება. დღეს ამ ხელოვნების ახალგაზრდა წარმომადგენლები რუსთაველის თემით არიან გატაცებულნი. ირაკლი ოჩიაური, კობა გურული, დიმიტრი ყიფშიძე, გურამ გაბაშვილი, სოსო ქოიავა, ლევან ცომაია, რევაზ ბუხაიძე, თენგიზ გიგაური ბევრ ახალ და საინტერესო საჩუქარს გვპირდებიან დიდი ეროვნული ზეიმისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრები, მიძღვნილი შოთა რუსთაველისადმი. თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოეწყობა გამოფენა, რომელზეც სტუდენტებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ პროფესორ-მასწავლებლები. მინდა თქვენი ჟურნალის მკითხველებს ვაცნობო, რომ მთავრდება სამხატვრო აკადემიის ახალი შენობა. ძველ შენობაში კი ხდება დიდი დარბაზის რეკონსტრუქცია. ჩვენ გვიხარია, რომ ამ დარბაზში გახსნილი პირველივე გამოფენა შოთა რუსთაველის სახელთან იქნება დაკავშირებული.

კითხვა: რასაკვირველია, საიუბილეო დღეებში საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირს განზრახული ექნება გამოფენის მოწყობა. გთხოვთ, ამის შესახებაც მოგვითხროთ.

პასუხი: დიახ, განზრახული გვაქვს მოეწყოს ორი გამოფენა. ერთ დიდ გამოფენაზე, მხატვართა გალერეაში, ექსპონირებული იქნება ყველა ძველი და ახალი მასალა, რაც დაკავშირებულია „ვეფხისტყაოსანთან". მეორე მოეწყობა სამრეწველო გამოფენის ტერიტორიაზე. აქ წარმოვადგეხთ ქართული ხელოვნების საერთო მიღწევებს. ჯერჯერობით, ძნელია დაწვრილებითი ლაპარაკი... თქვენი მკითხველები, რასაკვირველია, ინახულებენ ამ გამოფენებს და ჩვენთვის მათი აზრი მეტად საინტერესო იქნება.

კითხვა: როგორც ვიცით, დიდიხანი არ არის მას შემდეგ, რაც გამოცხადდა დახურული კონკურსი შოთა რუსთაველის ძეგლის საუკეთესო პროექტისათვის. ალბათ, საიუბილეო დღეებისათვის არ მოესწრება ამ კონკურსის ჩატარება!

პასუხი: რასაკვირველია, არ მოესწრება. მაგრამ დიდი რუსთაველის სახელთან დაკავშირებული ყოველი ღონისძიება მხოლოდ იუბილეებით ხომ არ განისაზღვრება? როგორც ვიცით, მოქანდაკე კოტე მერაბიშვილის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის ძეგლი კარგა ხანია გადმოჰყურებს მისივე სახელობის მოედანს. მოედნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ისმება დიდი ქართველი პოეტის ახალი ძეგლის შექმნის საკითხი. ქართველი მოქანდაკეები, და მათ შორის მოქანდაკეების ახალი თაობა დიდი გატაცებით მუშაობენ შოთას სახის უკვდავსაყოფად. ამ მოქანდაკეთაგან ცალკეა აღსანიშნავი ახალგაზრდა შემოქმედის — მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში დაიდგმება.

კითხვა: თქვენ არაფერი თქვით იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეაქვს მხატვარ ზურაბ ლეჟავას დიდი პოეტის იუბილესათვის მზადებაში?

პასუხი: ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. მოკლედ მოგახსენებთ, რომ ვმუშაობ ჩვენი ქვეყნის პეიზაჟებზე და ამ ნამუშევრებს დიდ შოთას ვუძღვნი.

• • •

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ — ცნობილმა კომპოზიტორმა სულხან ნასიძემ გვიამბო, თუ როგორ ხვდებიან ქართველი კომპოზიტორები დიდი



სულხან ნასიძე

პოეტისა და მოაზროვნის იუბილეს. შოთას დღეებში აჟღერდება არა მარტო ახალი ნაწარმოებები, არამედ უკვე ცნობილი ქმნილებებიც ახალი ხმით აჟღერდება ოპერები, ორატორიები ქორეოგრაფიული პოემები. დიმიტრი არაყიშვილის ოპერა — „თქმულება შოთა რუსთაველზე" ლიბრეტოს ახალი რედაქციით დაიდგმება. ლიბრეტოზე მუშაობს პოეტი კარლო კალაძე. ამ განახლებულ დადგმაზე მუშაობს კომპოზიტორი ნიკოლოზ გუდიაშვილი რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად, აღდგება შალვა მშველიძის ოპერა „ამბავი ტარიელისა", გურამ მელივას რეჟისორობით. თქვენს მკითხველებს კიდევ ერთხელ გავახსენებთ კომპოზიტორ ოთარ თაქთაქიშვილის სახოტბო-საგალობელს — „რუსთაველის ნაკვალევზე", რომელიც დიდი წარმატებით შესრულდა თბილისსა და მოსკოვში. ძუნწი ხერხებით გადაწყვეტილ ამ თავისებურ ნაწარმოებში შესანიშნავად იგრძნობა სული რუსთაველის ეპოქისა, სახე დიდი პოეტისა...

იწერება ორი დიდი ფორმის ნაწარმოები: კომპოზიტორი არჩილ ჩიმაკაძე წლების მანძილზე მუშაობს ორატორიის ტიპის მონუმენტურ ნაწარმოებზე, სადაც „ვეფხისტყაოსანი" მთლიანად შესრულდება; მონაწილეობას მიიღებს ტექსტის მკითხველი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი სერგო ზაქარიაძე, სოლისტები, გუნდი და ორკესტრი.

მეორე დიდი ფორმის ნაწარმოებია კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ვეფხისტყაოსანი", რომლის დადგმა განხორციელდება მოსკოვის დიდ თეატრში (დადგამს დიდი თეატრის მთავარი ბალეტმეისტერი იური გრიგოროვიჩი, მხატვრულად გააფორმებს ჩვენი თანამემამულე სოლიკო ვირსალაძე).

მეტად საინტერესო და საყურადღებოა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტი, ორკესტრთან ერთად. რამდენიმე ნაწილისაგან შემდგარ ამ ნაწარმოებში ასახულია საქართველოს სხვადასხვა კუთხე; ამღერებულია ვარძია, რუსთავი. ეს კონცერტი შოთა რუსთაველის იუბილეზე შესრულდება. კომპოზიტორმა ბიძინა კვერნაძემ შექმნა სიმფონიური სურათი „ნადირობა"; მერი დავითაშვილსა და დალი ჩხეიძეს შოთა რუსთაველის სახემ შთააგონა რამდენიმე სიმღერა. უნდა მოგახსენოთ ის სასიხარულო ფაქტი, რომელიც კომპოზიტორთა კავშირის მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა გამოავლინა: კონკურსში გამარჯვება მოიპოვეს ახალგაზრდა კომპოზიტორებმა, კონსერვატორიის სტუდენტებმა: თეიმურაზ ბაკურაძემ, სოსო კეჭაყმაძემ და იაკობ ბობოხიძემ. ამ კონკურსში მონაწილეობა მიიღო და მე-3 პრემია წილად ხვდა კომპოზიტორ ალექსანდრე შავერზაშვილის „ორ ფრესკას" სოლისტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის.

თავად კომპოზიტორმა სულხან ნასიძემ რუსთაველისადმი მიძღვნილი რამდენიმე საგუნდო სიმღერა დაწერა. სიმღერების ტექსტებად ძირითადად ხალხური პოეტური ნაწარმოებებია გამოყენებული.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირს განზრახული აქვს შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში ჩაატაროს სიმფონიურ, კამერულ და საგუნდო ნაწარმოებთა კონცერტების ციკლი. შოთას საიუბილეო დღეებში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის რაიონების საუკეთესო გუნდებიც, რომლებიც სპეციალურად მომზადებული პროგრამებით გამოვლენ.

საუბრის დასასრულს, კომპოზიტორმა სულხან ნასიძემ გვთხოვა ჩვენი მკითხველებისათვის გვეცნობებია ერთი საინტერესო ფაქტიც: ამას წინათ საფრანგეთიდან დაბრუნდა საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის თავმჯდომარე ალექსი მაჭავარიანი, რომელიც პარიზში პირად სტუმრად მიიწვიეს საფრანგეთის მუსიკალური ჟურნალის რედაქტორმა როსტისლავ გოფმანმა და საფრანგეთის რადიოს მთავარმა მუსიკალურმა რედაქტორმა გი ერისმანმა. ამ სტუმრობის შედეგი გახლდათ შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ის სამი გადაცემა, რომელიც საფრანგეთის რადიომ მოაწყო ივნისში. ეს იყო გადაცემა, მიძღვნილი ქართული მუსიკისადმი, დაწყებული დიდი შოთას ეპოქიდან — ხალხური მუსიკიდან, საგალობლებიდან, დამთავრებული დღევანდელი მუსიკალური ნაწარმოებებით. ეს იყო გადაცემა — პანორამა, სადაც საზეიმოდ ჟღერდა ქართული მუსიკა — ხალხურიც და კლასიკურიც; ჟღერდა გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავსაყოფად!

# მზითვის „ვეფხისტყაოსანი"

ამ რამდენიმე წლის წინ, გამომცემლობა „ნაკადულში" მეტად საინტერესო საუბარს შევესწარი. აწ განსვენებულმა მწერალმა გიორგი შატბერაშვილმა უბის წიგნაკი ამოიღო და გამომცემლობის დირექტორს — პოეტ ხუტა ბერულავას რამდენიმე თავისი მოსაზრება გაუზიარა. ეს მოსაზრებანი, რასაკვირველია, ქართულ წიგნსა და მისი გამოცემის საქმეს შეეხებოდა. მერე მწერალმა თავი აიღო და ღიმილით შესთავაზა ერთი წინადადებაც, ნუგბრად რომ ჰქონოდა შემონახული: კარგი იქნებოდა, ჩვენი ქართველი ქალიშვილებისათვის სამზითვო „ვეფხისტყაოსანი" გამოგვეცათო... რა ხშირად მაგონდება ეს ეპიზოდი! მაგონდება თუნდაც მაშინ, ახლადშეუღლებულთა ოჯახს ავეჯით დატვირთული მანქანა რომ მიადგება ხოლმე; თუნდაც მაშინ, რომელიმე ოჯახის კარადაში ჩალაგებულ სამზითვოდ შემონახულ თეთრეულს რომ მოვკრავ თვალს. რა ხშირად მაგონდება ეს წინადადება, საქორწილო სუფრაზე დედოფალს რაიმე ძვირფას ნივთს რომ მიართმევენ ხოლმე. დიახ, კარგია ახალ ოჯახში ახალთახალი ავეჯი რომ დგას, კარგია თეთრეულით რომაა ამოვსებული კარადის განყოფილება, კარგია რაიმე ძვირფასი ნივთი რომ გვიან სიბერეშიც ბედნიერ დღეს გაგახსენებს! მაგრამ, იქნებ ისიც კარგი იყოს, საგანგებოდ შენთვის გამოცემული საყვარელი წიგნი რომ გაგატანონ მზითვად? „იქნებ" კი არა, ასეც უნდა იყოს! ამაში კიდევ ერთხელ მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ჩვენს ჟურნალს რამდენიმე მკითხველმა იგივე წინადადებით მომმართა. მზითვის „ვეფხისტყაოსანი"... ერთმა კოლეგამ (რასაკვირველია, ვაჟმა) ღიმილით თქვა: „ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე გამოცემა წელსაც მზადდება და ვინ უშლით, ჩემო ბატონო, რომელიც ნებავთ, ის შეარჩიონ სამზითვოდ ქალებმაო.

მაგრამ მაინც ჩემს აზრს ვიცავდი. მართლაც, ვინ უნდა წაუყენოს ეს მოსაზრება ჩვენს გამომცემლობებს, თუ არა ქალთა ჟურნალმა?

ჩვენ ერთი ზნე გვჭირს — ხალხში ხშირად გავიგონებთ: „ეს ჩვენი ტრადიციაა, ეს ქართულია, ჩვენი წინაპრები ასე იქცეოდნენ" და სხვ. და ზოგჯერ ამ არგუმენტით ვეჭიდებით უკვე მოძველებულს, ვამართლებთ დახავსებულს; გვავიწყდება, რომ ყველაფრის გადმოტანა-გადმოღება დღეს შეუძლებელია, შეუფერებელია. მაგრამ, ის რაც კარგია, რაც დღევანდელობასაც დაამშვენებს, არ უნდა დავივიწყოთ.

თუ ჩვენი წინაპრები, კაცებიც და ქალებიც წელში მოხრილნი იჯდნენ და იწერდნენ „ვეფხისტყაოსანს", ამკობდნენ მის ფურცლებს მოხატულობით, რათა შემდეგ ოჯახიდან ოჯახში, თაობიდან თაობაში გადასულიყო ძვირფასი წიგნი, დღეს რაღა გაგვიჭირდა, რომ ეს ტრადიცია უარვყოთ? ჩვენს ხელთაა გამომცემლობები, შესანიშნავი მხატვრები თუ სპეციალისტები. დიახ, რომ სასიამოვნო იქნება, ოჯახში გედოთ საუცხოოდ გამოცემული და დასურათებული წიგნი, რომელიც მხოლოდდამხოლოდ თქვენი ქალიშვილის საკუთრება იქნება, რათა ახალ ოჯახში წაიღოს იგი. შეიძლება ასეთი გამოცემა საკმაოდ ძვირი იყოს, მაგრამ ქართველი კაცი მაინც არ დაიშურებს მზითვის „ვეფხისტყაოსნისათვის" ფულს.

ამასვე ფიქრობდა, ალბათ, მწერალი გიორგი შატბერაშვილიც, როცა გამომცემლობას ასეთი წინადადება შესთავაზა. არ ვიცი, მაშინ რამ შეუშალა ხელი მის განხორციელებას. მაგრამ, არც დღესაა ნაგვიანევი ასეთი წინადადების წამოყენება. დე, ჩვენი ნამზითვი „ვეფხისტყაოსნით" შევაყვაროთ ჩვენს შვილებს ამბავი ტარიელისა.

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გმირები

# ოქროს თანავარსკვლავედი

ისინი ყურადღების ცენტრში იყვნენ. მათ ყველა იცნობდა, ყველა უღიმოდა. ოქროს ვარსკვლავის კავალერი ამ ხუთი ქალიშვილის გარდა დარბაზში ბევრი იყო, მაგრამ მათ——ვინარი სხულუხიამ, კლავდია ნაცვალაძემ, დალი წივწივაძემ, ქეთევან გოგიტიძემ და ლამარა ჩხაიძემ სწორედ იმ ხანებში მიიღეს სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იმ დღეებში თითქმის ყველა გაზეთში ნახავდით ამ სახემოცინარი, თვალხატულა ქალიშვილების სურათებს.

ამიტომ ახალგაზრდა მეჩაიეთა და მეციტრუსეთა მეოთხე რესპუბლიკური შეკრების ყველა მონაწილე იცნობდა მათ.

მაგრამ გმირები შეკრების პრეზიდიუმში დასვეს და მათი პირადად გაცნობის მსურველთ მხოლოდ შესვენებაზე ეძლეოდათ საშუალება გასაუბრებოდნენ ქალიშვილებს.

გავიგონე, როგორ წუხდა საკავშირო რადიოს ქერათმიანი ახალგაზრდა კორესპონდენტი:

— ვინარი სხულუხიაზე დიდ გადაცემას ამზადებს ახალგაზრდობის რედაქცია, მისი სიტყვა გუშინვე ჩავწერე ფირზე, მაგრამ დანარჩენები ვერ იქნა და ვერ დავიმარტოხელე.

მერე, შესვენების დროს ერთხელ კიდევ მოვკარი თვალი იმ კორესპონდენტს. იგი ქეთევან გოგიტიძის მაგიდასთან იჯდა, თეფშები და დანა-ჩანგალი აქეთ-იქით გადაეწყო, მაგიდაზე ბლოკნოტი გაეშალა, პორტატული მაგნიტოფონი მოემარჯვებინა და უკანასკნელ დარიგებას აძლევდა ქალიშვილს.

ქეთევანი თანხმობის ნიშნად წყნარად აქნევდა თავს.

„ალბათ, რამდენი ძალდატანება სჭირდება, რომ არ გაიცინოს ან არ იმღეროს,“ —გავიფიქრე მე. —როგორი საქმეა, ცხრამეტი წლის იყო, გქონდეს ირემივით ლამაზი თვალები, სხეულის ყველა ნაწილით გრძნობდე, რომ ასე ახალგაზრდა ხარ, რომ ამდენი ხალხი სიყვარულით გიცქერის, სადღაც ნიკაპთან, თუ ატმის ყვავილისფრად შეფაკლულ ლოყაზე ოქროს ვარსკვლავის ათინათი გიელავდეს, გეცვას ლამაზი კაბა, და ყველამ იცოდეს შენი სასახელო შრომის ამბავი. დამეთანხმეთ, ძალიან ძნელია ამ დროს ზრდადასრულებული ადამიანის სიდინჯით ერთ ადგილას ჯდომა და რადიოს კორესპონდენტთან სერიოზული საუბარი.

მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის მეჩაიეს კლავდია ნაცვალაძეს ყველაზე ხშირად ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვასთან შეხვედრაზე ეკითხებოდნენ.

— მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავდი, —ამბობდა კლავდია, —ერთია მიწერ-მოწერა და შორიდან ნაცნობობა, მაგრამ სულ სხვაა პირადად გაცნობა და საუბარი. როცა პარტიის XXIII ყრილობის დელეგატად დამასახელეს, პირველად ის გავიფიქრე—ახლა კი ნამდვილად ვნახავ ჩვენი რგოლის საპატიო წევრს, პირველ კოსმონავტ ქალს-მეთქი.

მართლაც ასე მოხდა. ჩვენ ყრილობათა დარბაზში შევხვდით ერთმანეთს. პირველად გავფითრდი და, მგონი, ენაც მებმოდა. მაგრამ ვალია ისეთი ჩვეულებრივი აღმოჩნდა, უხერხულობა სწრაფად გაქრა. დიდი სიხარულით მიიღო „ვეფხისტყაოსანი“. მერე ჩემი რგოლის წევრთა დანაბარები და საჩუქრები გადავეცი და ვთხოვე: ერთხელ მაინც გვეწვიეთ, მოგვეხმარეთ ჩაის კრეფის გეგმის შესრულებაში-მეთქი.

ვალია ღიმილით დამეთანხმა: ამ ზაფხულს უსათუოდ გეწვევითო.

მერე კი, როცა სოციალისტური შრომის გმირობა მომანიჭეს, ვალენტინამ საგანგებოდ მომინახა და მომილოცა.

ეს დაუვიწყარი დღეები იყო, — ასე დაასრულა კლავდიამ თხრობა. მისთვის აღარავის უკითხავს, რამდენი ჩაის ფოთლის მოკრეფას აპირებს. იქ დამსწრეთაგან ყველამ იცოდა მისი ვალდებულებაც და ისიც, რომ კლავდია სიტყვას არ გადაუვა.

— მე კი, —თქვა წულუკიძელმა დალი წივწივაძემ, —ბრძანებულება რომ გადმოსცეს რადიოთი, შინ არ ვიყავი, სულ 15 წუთით გადავირბინე მამიდასთან, იქვეა მეზობლად.

დალის წითელი კაბა აცვია, ამ მოგონებაზე ლოყებიც უწითლდება და მთლად ყვავილივით ანთებული განაგრძობს:

— სახლში ხმაურით შემოვედი. რაღაცაზე ხმამაღლა ვლაპარაკობდი და ვიცინოდი.

დედაჩემმა ერთხანს მიყურა, მერე გადამეხვია და ცრემლები გადმოსცვივდა. შემეშინდა, დამშვიდება დავუწყე. დედას ისევ გაეცინა და მითხრა:


ქ. გოგიტიძე


კ. ნაცვალაძე


დ. წივწივაძე


ვ. სხულუხია


ლ. ჩხაიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ასეა და ასე, შვილო, შენთვის გმირობა მოუციათო. — მერე მე თვითონ მომადგა ცრემლი.

სულელი არა ვარ? რა მატირებდა.

დალის აეიწყდებოდა, რომ არსებობს ტირილი მოურეველი სიხარულის გამო.

საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას ქალიშვილს ვინარი სხულუხიას მთელი საქართველო იცნობს. მასზე, მის გმირულ შრომაზე აჩვენებს ტელენარკვევი, გადასცეს რადიოთი. ამას წინათ რედაქციაში დარეკა ჟურნალ „კომსომოლსკაია ჟიზნის" მთავარმა რედაქტორმა და ვინარის სურათი გვთხოვა.

ხოლო ჩემი კოლეგა გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიიდან" მთელი დღე დაეძებდა ვინარის. მას საკავშირო ჟურნალ „მოლოდოი კომუნისტიდან" სთხოვეს გაეკეთებინა ინტერვიუ ახალგაზრდა გმირთან.

ვინარი გარჯითა და თავმდაბლობით ასეთი აღიარების ღირსია.

რამდენიმე ხნით ადრე, სანამ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გამოქვეყნდებოდა, ჩვენს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" ვაძლევდით ნარკვევებს საკავშირო კომკავშირის XV ყრილობის დელეგატებზე.

დელეგატთა შორის ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზემო აკეთის მეჩაიე ლამარა ჩხაიძეც იყო და ვთხოვეთ კომკავშირის ლანჩხუთის რაიკომის მდივანს — რომან გუჯაბიძეს გამოეგზავნა ლამარას სურათი.

წერილი და სურათი მალე მივიღეთ. წერილიდან შევიტყეთ, რომ ლამარას მამა ომიდან არ დაბრუნებულა. ლამარა და მისი და-ძმანი კი თითით საჩვენებელი ბავშვები ყოფილან. სკოლაშიაც კარგად სწავლობდნენ და შრომაშიაც ყოჩაღობდნენ.

კომკავშირის ყრილობის დელეგატად კი საუკეთესო შრომითი წარმატებებისათვის დაესახელებინათ.

როცა ლამარას სურათი გამოვაქვეყნეთ, მეორე დღეს გამოქვეყნდა ბრძანებულებაც მისთვის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

მეჩაიეთა შეკრებაზე ლამარა ჩხაიძემ თქვა: — არ მახსოვს უფრო მეტად რაიმე გამხარებოდეს, როგორც ჩემი შრომის ასეთი მაღალი შეფასება გამეხარდა. განსაკუთრებით ავღელდი, როცა ფოსტალიონმა ვასილ პავლეს ძე მჟავანაძისა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოსალოცი დეპეშები გადმომცა.

მადლობა ჩემი შრომითვე მინდა გადავიხადო. 0,5 ჰექტარიდან გეგმიური 3 ათასი კილოგრამის ნაცვლად 7 ათას კილოგრამ ხარისხოვან ჩაის მოვკრეფ.

ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ.

დარბაზში დიდხანს უკრავდა ტაშს.

**ნარგიზა მგელაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ანზორ გვარამია



მხატვარი დ. ერისთავი

მოთხრობა

მებორნე ტახტზე წამოწვებოდა. მარჯვენა ხელს თავქვეშ ამოიდებდა, მარცხენათი თამბაქოს წევდა. მე ვხედავდი მის მოღეღილ, შავი ბალნით დაფარულ მკერდს. თვითონაც შავი იყო.

მესმოდა მდინარის შხუილი. მოშორებით ტიტლიკანა ბიჭები ბანაობდნენ ცივ წყალში.

დუქნის უკან ვიყავი ატუზული. დუქანი ყოველთვის გამოკეტილი იყო, მხოლოდ დილით და საღამოთი თუ გააღებდა მედუქნე. დღისით ხალხი სამუშაოზე იყო გაკრეფილი და, აბა, რად უნდა გაეღო.

იქვე დაჟანგული დისკო ეგდო და არხეინად ვიჯექი ჩემთვის.

— წადი, იბანავე. ბიჭებთან ითამაშე. — მეტყოდა მებორნე.

— პატარა კი აღარა ვარ!

— აუჰ, ვაჟკაცობ, არა?- ივაჟკაცე, რა გენაღვლება, შენი ბაბაია ისიდორე მჭადს კი გაჭმევს და...

ვინმე მგზავრი თუ მოადგებოდა, მებორნე უმალ წამოხტებოდა, პაპიროსის ნამწვს წყალში გადაისვრიდა. ბორანი თანდათან, ნელი ტაატით სცილდებოდა ნაპირს...

— შენხელა რო ვიყავი, ცოლ-შვილი მყავდა. — დაილაპარაკებდა მებორნე.

— დიდი ამბავი!

— ეეჰ, ჯერ არ გაგჭირვებია. მხარზე ტვირთმოკიდებულს არ ჩაგიმუხლავს. აქ რას დამჯდარხარ, საქმეს მოჰკიდე ხელი... ხომ ხედავ, ყველა სამუშაოზეა წასული. ხან კლუბს აშენებენ, ხან სკოლას, საავადმყოფოს. მიდი და მიეხმარე. აქაურობას ქალაქს ამგვანებს ეს ხალხი, შენ კი ლენჩივით ზიხარ, უსაქმოდ.

გაჩუმებული ვიჯექი. მებორნე გრძნობდა, რომ ასეთი დარიგებები სულაც არ მომწონდა.

მდინარის კალაპოტი განიერი იყო. ვხედავდი, როგორ მიადგებოდა ბორანი მეორე ნაპირს. მგზავრები გზას დაადგებოდნენ.

მე ისევ იქ ვიჯექი და სოფელს გავცქეროდი. კრამიტის სახურავიანი აგურის სახლები მწვანეში იყო ჩაფლული. შორს ჩაის პლანტაციები ლივლივებდა. მდინარის ჭალაში, გაღმა და გამოღმა, ახლადმოწვერილი სიმინდი ბიბინებდა. გლეხები ყანას თოხნიდნენ და ხანდახან თვალს მოვკრავდი, როგორ გაიკაშკაშებდა პრიალა თოხი მზეზე. სოფელს გრძელი გორაკი გასდევდა და კრამიტის სახლები თითქოს ნელნელა, დინჯად გრძელდებოდნენ გორაკზე, თანდათან ადიოდნენ და პატარავდებოდნენ. მერე ერთბაშად უჩინარდებოდნენ წითელი სახლები. სოფლის ბოლოს სასაფლაო იყო.

— კიდევ აქ აგდიხარ? — გადმომძახებდა მებორნე.

ხმას არ გავცემდი. ვიცოდი, დიდი მწარე ენის პატრონი იყო და რამე რომ მეთქვა, წყლის ნაყვა გამომივიდოდა. ამბობდნენ, ომში წასვლამდე მხიარული, თავზეხელაღებული ვინმე იყოო. ომიდან მობრუნებულს ხასიათი გამოცვლოდა და კუშტი და უჟმური გამხდარიყო. მარტოობა ერჩივნა ყველაფერს. არავის იკარებდა.

მაღალი იყო, ცოტა გამხდარიც. შავი, მზეზე დამწვარი, მრისხანე სახე ჰქონდა. დედაკაცები ასეთ კაცებზე იტყვიან ხოლმე, ნაჭაზე ჩამოკიდებულ, კერიის ცეცხლზე გამურულ ქვაბს ხომ არ დაეტაკაო.

იქვე ცხოვრობდა, ზედ ნაპირთან.

ამბობდნენ, ომიდან მტკივანი ფეხით დაბრუნდაო. კოჭლობა არასოდეს შემინიშნავს მისთვის; სწორად და გამართულად დადიოდა. ძალიან თუ დააკვირდებოდი, შეამჩნევდი, რომ სიმახინჯეს განგებ ფარავდა.

გასაოცარი ამაყი სიჯიუტე ჰქონდა.

პატარა რომ ვიყავი, ხშირად მივდიოდი მასთან. დუქანში რამეს ყიდვას თუ მოისურვებდა, სიხარულით ვეგზავნებოდი, კისრისტეხით გავრბოდი.

ერთხელ მებორნის ლეღვზე ავძვერი ქურდულად. ტოტი ჩამომიტყდა და მიწას დავენარცხე. არ დავშავებულვარ, მაგრამ მებორნესთან გამიწყდა ურთიერთობა. მეორე დღეს დამიჭირა და გამლახა. მერე არაფრის დიდებით არ შემირიგდა. მაშინ მეხუთე კლასში დავდიოდი. ჰო, დავდიოდი...

თუმცა ლეღვი არ იყო ჩვენი დაცილების მთავარი მიზეზი. რომ წამოვიზარდე, მებორნემ უფრო შემიძულა რატომღაც. მამაჩემი ძალიან უყვარდა, მეგობრობდა კიდეც მასთან, მაგრამ მაინც „ძაღლიშვილს“ მეძახდა.

რაღაცნაირი შიში ჩამენერგა მისადმი. ამ შიშს დიდხანს ვატარებდი გულში. თანაც მასთან მეგობრობა მწადდა. თვითონ კი კაცად არ მაგდებდა და ეს ძლიერ მაღიზიანებდა. მერე და მერე წამოვიზარდე. ისევ მქონდა მებორნესთან მეგობრობის სურვილი. არაფერი გამოდიოდა.

თავს არ ვუტყდებოდი, თორემ ყველაფერი მომწონდა მისი. მომწონდა, როგორ ეწეოდა თამბაქოს, როგორ იჯდა ბორანზე, ანდა, როცა ძალიან დაცხებოდა, როგორ ბანაობდა მდინარეში.

ბოლო წლებში მებორნესთან ყოველ გაზაფხულზე ერთი ქალაქელი სტუმარი ჩამოდიოდა. სტუმარი ლამაზი ქალიშვილი იყო და უბნის აყლაყუდა ბიჭები ერთთავად იქ იყვნენ ატუზული. ახლოს ვინ მიაკარებდა ბიჭებს, მებორნე ცეცხლივით თვალებს აბრიალებდა.

მაინცდამაინც გაზაფხულს აირჩევდა ის დალოცვილი სტუმარი. გაზაფხულობით სიყვარულის ხასიათზე ვიყავი ხოლმე.

ქალიშვილს არსად არ უშვებდნენ მებორნე და მისი დედაკაცი. ბიჭების ეშინოდათ, ჩემიც ეშინოდათ, რასაკვირველია. მაღალი გავიზარდე, მხრებგანიერი და... მებორნეს ჩემიც ეშინოდა. მე ეს მწყინდა და მსიამოვნებდა კიდეც.

ჰოდა, ერთთავად შინ ეჯდათ.

ფეხს არსად არ გაადგმევინებდნენ.

მე ვგრძნობდი, რომ ქალიშვილს მოწყენილობა კლავდა.

ქალიშვილი მეტწილად სახლის კიბეზე იყო ჩამომჯდარი. მეზობლის პატარა ბიჭი ესტუმრებოდა ხანდახან და მის გულსაც გაახარებდა. ბიჭს ხელს დაავლებდა ქალიშვილი, ხან გულში ჩაიხუტებდა და ცეკვავდა, ხან თითზე მოკიდებდა ხელს, თავბრუდამხვევად ატრიალებდა. თვითონაც ტრიალებდა.

— ზეინაბ, თავს რათ იღლი! — გამოსძახებდა სახლიდან მებორნის ცოლი.

ბიჭი იცინოდა. ქალიშვილი კისკისებდა. ბედნიერად იცინოდნენ. მერე ხალათს გახდიდა ბიჭს, მუცელზე ხელისგულს გაუტყაპუნებდა. მერე ისევ ჩააცმევდა ხალათს. თმას გაუსწორებდა. მხიარული გოგო იყო.

მომწონდა.

მომწონდა, მაგრამ მე რა...

მებორნე თვალებს მიბრიალებდა. აუჰ, რამხელა თვალები ჰქონდა, თუ იცით!

ბიჭს სახლში უხმობდნენ. დედა ეძახდა. გაიქცეოდა ხოლმე.

ისევ კიბეზე იჯდა ქალიშვილი. მოწყენილი იჯდა

სულაც არ მომწონდა, რომ პოწყენილი იყო. ვინ მიმიშვებდა, თორემ წუთში გავახალისებდი.

მებორნე იქვე იყო!

მოგვიანებით პატარა ბიჭი ისევ მოადგებოდა ჭიშკარს.

ლატანებში ხელებს გამოჰყოფდა და გაჰყვიროდა:

— ბიძია, ბიძია!

სახლის კარი დაგმანული იყო. კიბეზე აღარ იჯდა ქალიშვილი.

— დეიდა, დეიდა! — ეძახდა ბიჭი.

გამოხედავდნენ.

— „ზე“ შინ არის? — შეეკითხებოდა ბიჭი მებორნის ცოლს.

ზეინაბი სწრაფად გამორბოდა სახლიდან.

— მოდი, შენი ჭირიმე! — და გულში იკრავდა ბიჭს.

მე მაშინ სულაც არ მომწონდა, რომ დიდი, მაღალი ბიჭი გავეზარდე მამაჩემს, ისიდორეს.

მერე ქალიშვილის გამგზავრების დროც დგებოდა.

ქალიშვილის ჩემოდანს მებორნე დაიჭერდა ხელში. ბორანზე დასხდებოდნენ. გულდაწყვეტილი შევცქეროდი შორიდან. საღამოობით მიემგზავრებოდა ყოველ წელიწადს. ალბათ, ღამის მატარებელს მიჰყვებოდა. ბორანი ნაპირს რომ გასცდებოდა, მე სწრაფად ვიხდიდი ტანზე, მდინარეში გადავეშვებოდი და შორიახლო მივყვებოდი ბორანს. ცურვით გავდიოდი მეორე ნაპირზე. მებორნე მანქანას გააჩერებდა, ზედ დასვამდნენ ქალიშვილს და მერე მანქანაც უჩინარდებოდა.

წელს ადრე დაიწყო გაზაფხული. მშვენიერი ამინდები დაიჭირა. მდინარე მღვრიე და მოდიდებული იყო. ხეხილმა ერთბაშად იფეთქა და კრამიტის სახურავებიც დაიმალნენ. ცა ყოველდღე მოწმენდილი და სუფთა იყო. ჰაერი გაიწმინდა, ყვავილს ფუტკარი მიესია. ნახირი საბალახოდ გავიდა.

სტუმარი ამ გაზაფხულზეც ეწვია მებორნეს.

დაქალიშვილებული ჩანდა. უფრო მიმზიდველი მეჩვენა. მგონი, შარშან დაამთავრა სკოლა. მე წელს ვამთავრებდი.

მებორნის ცოლი გაუთავებლად ტრაბახობდა, ჩვენი ზეინაბი უმაღლესში მოწყობილაო.

ერთხელ ჩვენს უბანში მოვკ რი თვალი ქალიშვილს. გორაკისკენ მიიჩქაროდა. გავოცდი.

მივყევი.

ერთი კი მივიხედე ბორანისკენ და მივყევი.

შორიახლო მივდევდი.

ფოსტალიონი შემომხვდა. პაპიროსი მოექცია ტუჩის კუთხეში და ერთის ამბით მოხანხალებდა. პაპიროსი ჯერ არ მომეწია, მაგრამ ახლა ძალიან მომინდა მოწევა. ვთხოვე. უარი არ მითხრა, ოქრო ხასიათის კაცი იყო.

კბილებში გავიჩარე პაპიროსი და გზა განვაგრძე.

ქალიშვილს შავი ქვედაკაბა და თეთრი ბლუზა ეცვა. თმა გაეშალა და მხრებზე დაეყარა. წითელი ჩანთის ზონარი მხარზე გადაეგდო. მე ქალაქში არასოდეს ვყოფილვარ, მხოლოდ კინოში მინახავს ასეთი ქალიშვილები: ჩანთის ზონარს მხარზე გადაიგდებენ, ჩანთას კი იღლიაში გაიჩრიან.

რა დასამალია, ასე უფრო მომეწონა მებორნის სტუმარი.

თითქმის გარბოდა.

ფეხზე გაიხადა და ნაბიჯს მოუჩქარა.

მეც გავიხადე ფეხზე. თასმები ერთმანეთზე მივანასკვე და ფეხსაცმელი აბგასავით გადავიკიდე მხარზე.

გორაზე ავიდა.

მონასტრის ეზოში შევიდა. მეც შევყევი. მერე შიგ მონასტერში შევიდა ქალიშვილი. მონასტერში გრილოდა. ფრესკებს დაუწყო თვალიერება. კედლები ლამაზად იყო მოხატული. ბავშვიან ქალს მიაჩერდა. წმინდამარიამი იყო. „ოჰ“. — ამოვიძახე და ჩავიმუხლე. ხმამ უშველებელი ეხო გაიღო, გუმბათიდან მონასტერში ბუხუნი გაისმა. ფეხზე რომ წამოვიმართე, იგი შეშინებული იდგა შუა მონასტერში. მე ვერ მამჩნევდა.

ეზოში გამოვიდა და მოლზე ჩამოჯდა ცაცხვის ქვეშ.

— გამარჯობა! — ვუთხარი იმ წუთში.

— გამარჯობა!

ახლოს მივედი. შეკრთა. წამოდგომა დააპირა, მაგრამ ხელი მოვკიდე და ძალით დავსვი, თან ვუთხარი: არხეინად იყავი, ჩემი არ მოგერიდოსმეთქი. ბალახი მოწყვიტა და წიწკნა დაუწყო. მე ქვემოთ ვიყურებოდი, სოფლისაკენ. ჩვენი სოფელი ხელისგულივით მოჩანდა: კრამიტის სახურავები, აგურის სახლები, გაშლილი მდინარე და ბორანი თავის მებორნიანად.

— აქ რა გინდა? — შევეკითხე.

— არაფერი. ისე წამოვედი.

— ჰმ. — სათქმელი ვერაფერი ვიპოვნე.

— კარგი დღეა. — თქვა მან.

— კი. შესანიშნავი.

— ცა ასეთი ლურჯია ხოლმე ყოველთვის?

— არა! — ვიშოვე სალაპარაკო. არც ისე საწყალი ენა მქონდა. — არა, ხან წვიმს. ზამთარში კი თოვლი იცის.

— დღეს ძალიან მოწმენდილი ცაა.

— საღამოობითაა კარგი... აქედან კარგად მოჩანს მზის ჩასვლა. შეუდარებელი საყურებელია.

— აქ პირველად ვარ...

— საღამომდე დავრჩეთ.

— ჰოო?! — გაიკვირვა, თან ჩუმად ჩაიცინა.

მე თამამი ბიჭი ვიყავი და დავამშვიდე:

— საშიში არაფერია, ჩემთან იქნები.

— ჩუმად!

მე უკვე ახლოს ვიჯექი მასთან.

— დავრჩეთ რა, გთხოვ.

გაეცინა. თითი ცხვირზე გამკრა.

— სახლში გაგიწყრებიან? — შევეკითხე. თან თვალებში ვუყურებ დაჟინებით, არ მოვეშვი, უხერხულობა იგრძნო.

— არ გამიწყრებიან, მაგრამ... რატომ უნდა დავრჩე?

— ისე, ჩემი გულისთვის.

— შენ ვინა ხარ ვითომ?

— მე? შენ არ მიცნობ მე...

— გიცნობ... მთელი დღე დუქანთან ზიხარ და მებორნეს აბრაზებ, სხვა არაფერი შეგიძლია. არ მოგწყინდა მაინც ამდენი უსაქმურობა?

წასასვლელად გაიწია. ხელი რომ მოვკიდე, ვიგრძენი, ძლიერი და ღონიერი მკლავები მქონდა.

— ოოჰ! მტკივა...

— ჰო, კარგი, არ გატკენ. აი, აქ გეტკინა? — ჩავეკითხე.

გავჩუმდით. ქვემოთ ვიცქირებოდით.

— გაზაფხულია! — დავარღვიე სიჩუმე.

— ვიცი.

— რატომ მოიწყინე? მებორნის გეშინია?

თავი დახარა.

— მე არ მეშინია მისი. — ვთქვი მე.

— ხა-ხა-ხა!

— რას იცინი? არ მეშინია.

— ჩჩ!

— მაინც ვერ გაიგონებს. თუმცა გაიგონოს რა...

— უზრდელი ბიჭი ხარ, მაგას როგორ ამბობ, უფროსის პატივისცემა უნდა იცოდე.

მეცინებოდა, რომ ჭკუას მარიგებდა, რაღაც ერთი წლით იყო ჩემზე უფროსი და ჭკუის დარიგებას კისრულობდა.

— იცი, რა? — დავარღვიე სიჩუმე.

— რა?

— რომ დაღამდება, მალაზიასთან გამოდი!

— რაო, რას მიბედავ, შენ ვინ გგონივარ?!

— გამოდი! — გადაჭრით ვთქვი მე.

— არ გამოვალ! — ჯიუტად მომიგო.

— გამოხვალ!

— რას მიბედავ... თანაც მიბრძანებ. თავხედი ბავშვი ხარ!

— ვიყო! ოღონდ გამოდი.

— რათა?

— ისე.

— რა გავაკეთოთ?

— ვიაროთ.

— ღამით?

— ჰო.

— მარტო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტო. მე და შენ... გამოხვალ?

— არ ვიცი.

— ჩემი ნუ შეგეშინდება, ნურც მებორნის.

— შიში რა შუაშია! შენ... ჰო, შენც ისეთი იქნები, ჩემი სახლის კართან რომ დგანან. დათვრებიან ხოლმე და მთელი ღამე ღრიალებენ. ჭირის დღესავით მეზარება ისეთი ბიჭები. რას აკეთებთ მაინც, მთელი დღე დუქანთან ჯდომა არ გწყინდებათ?

— არა, მე ისეთი არა ვარ! შენ როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი. ოღონდ გამოდი, დუქანთან სულ არ გამოვალ, ოღონდ...

— ხა-ხა-ხა... ჰო, რა გინდა ჩემგან, მომეშვი!

— არ მოგეშვები.

— ისე მელაპარაკები, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყოთ.

— მაგას არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია ერთმანეთს ვიცნობთ

— შენ ჯერ ბავშვი ხარ.

— ერთი წლით იქნები ჩემზე დიდი. ეს არაფერია.

გაღიმებული შემომცქეროდა.

— ეხ, პაპიროსი დამავიწყდა სახლში. — ვთქვი მე. — მოწევა მომინდა.

— ეწევი?

— როგორ არა, მთელი კოლოფი მაქვს სახლში.

— ესე იგი შენთან ვიარო?

— აუცილებლად!

— რა უხეში ბიჭი ხარ!

— რა ვქნა, ასეთი ვარ... მერე, შენ როგორც გინდა ისე ვილაპარაკებ.

— მაინც არ გამოვალ.

— გამოხვალ! — დავიყვირე მე.

ღიმილი გაუქრა სახეზე, თვალებში შიში ჩაუდგა. პატარა გოგოს დაემგვანა, პატარა, სევდიან გოგოს. მე ჩემთვის გადავწყვიტე, რომ უკვე შემიყვარდა. აღარ მოვეშვებოდი. წინ დავუდექი და მოვეფერე. თვალები დახარა. ნიკაპი ავუწიე და მივაჩერდი. რატომღაც გავიფიქრე, რომ უჩემოდ ვეღარ გაძლებდა. მე კი... მე უკვე მიყვარდა.

გამოვემშვიდობე და ერთხელ კიდევ ვუთხარი, მაღაზიასთან შევხვდეთ-მეთქი.

თავდაღმართზე ჩავრბოდი და თან ზეინაბზე ვფიქრობდი, ყურში მისი სიტყვები ჩამესმოდა: ,,... სხვა არაფერი შეგიძლია''. ,,შენც ისეთი იქნები, ჩემი სახლის კართან რომ დგანან''.

სოფელს გადავხედე და გული დამწყდა. ძალიან პატარა მეჩვენა ჩვენი სოფელი, ასე მეგონა, მე და ზეინაბი აქ ვეღარ დავეტეოდით. სურვილი დამებადა უფრო დიდი და ლამაზი ყოფილიყო იგი, ქალაქის ხელა ყოფილიყო, ლამაზი, განიერი ქუჩებით, მაღალი სახლებით და აშოლტილი ხეებით.

მერე ისევ გავრბოდი და ზეინაბის სიტყვებს ჩურჩულით ვიმეორებდი: ,,... სხვა არაფერი შეგიძლია''.

მართლა არ შემიძლია?

შემიძლია, ბევრი რამ შემიძლია. მე ავაშენებ დიდ სახლებს, გავიყვან განიერ ქუჩებს, დავრგავ ხეებს, ყვავილებს, დიდ სახლებს შორის ივლის ზეინაბი, მაღალი ხეების ჩრდილში. მე... მე მთა და ბარსაც გავასწორებ, კლდეებს შევეჭიდები, წითელ სახურავებს ავაბრჭყვიალებ მზეზე, ოღონდ...

ოღონდ ზეინაბს მოეწონოს აქაურობა.

და არ მითხრას უსაქმური ხარ და არაფერი შეგიძლიაო.

ეს რომ გავიფიქრე, თითქოს ავმაღლდი, იმედი მომეცა და სიხარულისაგან გამაჟრჟოლა.

გავრბოდი და ვჩურჩულებდი, მერე ხმამაღლა გავყვიროდი: ,,ყველას დავუჯერებ, მებორნეს გავუგონებ, ზეინაბსაც, ყველას, ყველას''... ოღონდ, ოღონდ... საღამოს მაღაზიასთან შემხვდეს ზეინაბი.

საღამოს კი...

რა პაემანი, რის პაემანი!

მებორნის ენაჭარტალა და ჭორიკანა დედაკაცმა მთელი სოფელი შეძრა. ვიღაცას დავენახეთ, ეტყობოდა და ყველაფერი ჩაეკენჭა. მებორნემაც დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ამ ამბავს. ცოლი გაიძახოდა: ისიდორეს ბიჭი დიდი ეშმაკი და ხელმრუდე ვინმეაო, გოგო არ გადაგვიცდინოსო; რომ მომტაცოს ეს გოგო, მამამისი აქედან გამასახლებსო.

ღამე იყო და მე ჭიშკართან ჩასაფრებული ყურს ვუგდებდი მათ საუბარს.

საბოლოოდ მებორნემ თქვა გადამწყვეტი სიტყვა: პირველკურსელ ქალიშვილს ბიჭთან რა ესაქმებაო, რას გავს ეს საქციელიო?

ჩემოდანი ჩაულაგეს ქალიშვილს, გასამგზავრებლად მოაწყვეს. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ქალიშვილს სულაც არ უნდოდა აქედან წასვლა.

,,უჩემოდ იქ რა გააძლებინებს''. — ვფიქრობდი ჩემთვის.

ბორანი ნაპირს გასცილდა.

ტანთ გავიხადე და წყალს მივეცი თავი. მხარული მოვუსვი.

მალე მეორე ნაპირზე ამოვყავი თავი. ცალ ხელში ტანსაცმელი მეჭირა და ცოტა დასველებულიყო. საჩქაროდ ჩავიცვი.

მებორნემ მანქანა გააჩერა. ქალიშვილი შოფრის გვერდით დასვეს. მანქანა დაიძრა. მებორნემ ხელი დაუქნია ქალიშვილს.



ბურქებიდან გამოვძვერი, მანქანას ,,მივები'' და ძარაზე ავხტი.

პატარა სარკმლიდან ვიყურებოდი კაბინაში. კიდევ კარგი, რომ შოფერი უსიტყვოდ იჯდა, თორემ იმ წუთში ავტეხდი უშველებელ ბრახუნს კაბინის თავზე.

სადგურის მოედანზე შედგა მანქანა.

ჩამოვხტი.

კაბინის კარი გავაღე. ქალიშვილი გაოცდა, თან ჩაიღიმა.

ხელი მოვკიდე და გადმოვიყვანე.

— გმადლობთ, ძმაო! — ვუთხარი შოფერს. მანქანა დაიძრა.

ქალიშვილი ჩემოდანზე ჩამოჯდა. გვერდით მოვუჯექი.

გრილოდა. ნამიანი ღამე იყო.

— სად მიდიხარ? — შევეკითხე.

— თბილისში.

— რა სისულელეა!

სადგურის დარბაზში შევედი და ფარდულში პაპიროსი და ასანთი ვიყიდე.

• • •

გვიან ღამით მივადექით მდინარეს. თითი ჩავიდე პირში და დავუსტვინე. მებორნე წამოხტა.

— მოვდივარ! — მორთო ღრიალი.

რა იცოდა, რომ ჩვენ ვუცდიდით: მე და ზეინაბი.

ბორანი მალე მოადგა ნაპირს.

მებორნემ შემოგვხედა და გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა.

— ა? — აღმოხდა განცვიფრებულს. მერე ენა დაება, ვეღარაფერი თქვა.

კარგა ხანს გვიყურა გაოგნებულმა.

— გცივა? — ვკითხე ქალიშვილს.

— არა! — ჩურჩულით მომიგო მან.

ბორანი დაიძრა. ბორანზე ჩვენ ვისხედით, მე და ზეინაბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თიხის სიმღერა

ადრე უყვარს ეკატერინე ბაბლიძეს სახლიდან გასვლა. ვინ იცის, მერამდენედ მიჰყვება იგი გრიბოედოვის ქუჩის აღმართს.

დილის სიგრილე კერამიკული სახელოსნოს კარამდე მიაცილებს. სახელოსნოში სითბო ტრიალებს, დღეს კერამიკული ნაწარმის გამოწვაა და ელექტროღუმელია ჩართული...

მხატვრის მგრძნობიარე თითები თიხის გუნდიდან ძერწავს და სულს უდგამს კერამიკულ ნაკეთობას — ადამიანის თვალისა და გულის საამებლად, მისი სამყოფელის გასალამაზებლად.

მერე დაღლილი თვალს დაასვენებს, წელში გასწორდება, ფანჯრიდან ეზოს გაჰხედავს...

კაშკაშა მზის ნათელი უხვად იღვრება სამხატვრო აკადემიის ეზოში. ლაღი, თამამი ახალგაზრდები, მომავალი შემოქმედნი, იმედებით სავსე ღიმილით, ზაფხულის პრაქტიკის შთაბეჭდილებებს უზიარებენ ერთმანეთს. ბედნიერი, მშვიდობიან წლებში დაბადებული და გაზრდილი სტუდენტობა...



და აგონდება კატოს სტუდენტობის წლები... სამამულო ომის მრისხანე დღეებში თბილისის სამხატვრო აკადემიამ ბევრ ახალბედა მხატვარს დაულოცა გზა. და რამდენ ნიჭიერ ახალგაზრდას არ დასცალდა სწავლის დასრულება, გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე...

ლენინგრადში საწარმოო პრაქტიკა ჰქონდათ, ომი რომ დაიწყო. ძლივს ჩამოაღწიეს თბილისამდე; მთელი თვე მოდიოდნენ ყუმბარების ქარცეცხლში.

აგონდება, როგორ დადიოდა ზოოპარკში ჩანახატებისათვის, სადიპლომო ესკიზების შესაქმნელად რომ სჭირდებოდა. ჩუმი და უკაცრიელი იყო იმ დროს იქაურობა. ქალის თვალებში კეთილი ღიმილი ინასკვება, ძველი მეგობარი — შველი ,,ალიოშა‘‘ აგონდება. დედის მიერ გამოტანებულ საუზმეს უნაწილებდა ამ სუსტკანჭებიან, მშვიდ ცხოველს. შველი ნაბიჯებზე სცნობდა. გალმოსწევდა ლამაზ კისერს, მადლიერ, მწყაზარ თვალებს მიაპყრობდა ქალიშვილს. კატო კი ხატავდა, ცდილობდა არ გამორჩენოდა შველის დამახასიათებელი დგომა, მისი მოძრაობის პლასტიკა.



შემდეგ ამ ჩანახატების მიხედვით სტუდენტი ქალის თითები თიხიდან აცოცხლებდა პატარა ზომის კერამიკულ ქანდაკებებს: ქედანს, არწივს, დათვს, შველს, ჩხიკვებს, ფარშავანგებს.

1942 წლის ივნისში, ეკატერინე ბაბლიძემ, სადიპლომო ნამუშევარით — ,,შორენკეცებიანი ღუმელი‘‘ — გაბედულად გადადგა ნაბიჯი ფართო შემოქმედებით შარაგზაზე. ეკატერინემ თავისი მხატვრული ალღო, გემოვნება და ახალგაზრდული ფიქრი ჩააქსოვა სადიპლომო ნაშრომში. პროფ. დ. ციციშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით დასძლია არჩეული თემა და მხატვარ-კერამიკოსის საპატიო წოდება მოიპოვა.

მხატვრის ფიქრი და ოცნება მისი ნაკეთობებია.

ვის ოთახს ან მაგიდას არ ამშვენებს ისინი. ბუნებით სათუთმა მხატვარმა, მრავალგზის ჩაუდგა სული ფაიფურის ჰაეროვან სასმისებსა თუ თიხის ჭინჭილებს. დააკვირდით, რაოდენი სიმშვიდე, კეთილი განწყობა მოაქვთ მათ. ისინი ხმამაღლა კი არ მღერიან, არამედ დაბალ ხმაზე, ხმაშეწყობილად, თავისთვის ტკბილად ღიღინებენ. დოქუნები თუ ხელადები, კოჭობები თუ ქილები — ერთი ოჯახის შვილნი არიან, ერთი შემოქმედის გულიდან დაფრენილი ბარტყები. თიხის კვანწია ჭურჭლებს ღიმილიც კი შეუძლიათ მოჰგვარონ მნახველს. ესენი მცირე ზომის ჭურჭლებია, რომლებიც ავტორს სუვენირებად აქვს ჩაფიქრებული: მუცელბრტყელი, დიდთავა ხელადა, განიერ ღიპზე კმაყოფილად დაბრძანებული, მკვრივად შეკრული ,,კოჭობა‘‘ თუ პირღია ტოლჩა.

ბაბლიძის კერამიკული ნაკეთობები ფორმის მთლიანობითა და სისადავით გამოირჩევა. მათ არ ახასიათებთ ლტოლვა ზერელე შთაბეჭდილებისაკენ, ეფექტისაკენ. გამოცდილი კერამიკოსი შესანიშნავად გრძნობს მასალას, მის ხასიათს, რაც მას საშუალებას აძლევს მისცეს ნამუშევარს სიმკვრივე, მოცულობის მთლიანობა.

ხოლო სისადავე, სიმშვიდე, რაც მეტად დამახასიათებელია ბაბლიძის კერამიკისათვის, ნაკეთობის შექმნის იოლი ხერხი კი არაა, არამედ ხანგრძლივი ფიქრისა და დაძაბული შრომის შედეგია.

დეკორისათვის კატო ბაბლიძე ხშირად მიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა







თავს ანგობის* ტექნიკას. შეფერილი თიხის ტექნოლოგიას იგი ოსტატურად ფლობს. მხატვარი ზომიერად ხმარობს თიხის ნეიტრალურ ზედაპირზე ანგობის ფერად ლაქებს. ამ ტექნიკით არის შესრულებული ხელადა ორი ჯამით. სასმისის კომპაქტური ფორმა ჯამებით, მოყვითალო თიხის ფონზეა მოხატული, თეთრი და შავი ანგობის რომბისებური ორნამენტით. იგრძნობა ფუნჯის მსუყე მონასმი, თიხის ზედაპირისათვის შესაფერისად აყოლილი ხაზებით.

ყავის სერვიზი — „საყოველდღეო" — ყურადღებას იპყრობს მეტად პრაქტიკული, უპრეტენზიო ფორმებით, ლაკონური, მარტივი დეკორით. მთლიან ანსამბლში სერვიზი ჟღერად ლაქას ქმნის სუფრაზე. ამ სასმისებში და დანარჩენ ნაკეთობებში, ავტორს უტილიტარული მნიშვნელობა ყოველთვის გათვალისწინებული აქვს. განსაკუთრებით იგრძნობა ჭურჭლის გამოყენებითი დანიშნულება „საყოველდღეო" სერვიზში: ფინჯნების ფორმა თავად თხოულობს ყავას.

ადამიანის მოსახმარად, მისი ცხოვრების მონაწილე საგნებად — ასე სწამს ავტორს თავისი ნაკეთობანი. სწორედ ამიტომ აქვს ეს განსაკუთრებული სითბო და შინაურობის განწყობა კატო ბაბლიძის თიხის ჭურჭლებს. მაგალითად, სქელი თასი, სწორი ზედაპირის პროფილით, წრიულ სადგამზე, გული რომ გადაუშლია ხილის ფერადი ლაქებისათვის, ანდა მძიმე მოყვანილობის ქოთანი, მინდვრის ყვავილებისათვის რომ გამზადებულა და თითქოს გვკარნახობს გვირილები უფრო მომიხდებაო; სამი ქვევრი, სხვადასხვა ზომისა, ერთად შერწყმული — კარგი ჩანაფიქრია საწერი მაგიდისათვის. ერთერთი ქვევრი საყვავილეა, დანარჩენი — საფანქრე.

ბაბლიძეს ეკუთვნის მთელი ციკლი დეკორატიული თეფშებისა, სტილიზებული ჩიტების გამოსახულებით. ისინი რძისფერი ჭიქურის ზედაპირზე შაბიამანის ხსნარით არიან გამოხატულნი. ამ ტექნიკით შესრულებული ლანგრები მეტად სასიამოვნოდ ჟღერენ. შაბიამნის ხსნარით შესრულებული მონასმები ფირუზისფრად ციალებენ მღვრიე-თეთრ ფონზე. არის ეს ლურჯი სუფრების მოტივებზე აყოლილი სიმღერა თუ დმანისის ან კახეთის კერამიკის ნიმუშების განწყობით შესრულებული ყალმის მონასმი, ყველა ისინი ზომიერად და ფაქიზად გააზრებული კომპოზიციებია.

აი, ეკ. ბაბლიძის „მაწვნის ქილა" — მეტად კოლორიტული, ნამდვილად ქართული სუვენირი. დღევანდელი ინტერიერის რომელ კუთხეში არ უნდა მივუჩინოთ მას ადგილი, რომ ეს პატარა ქილა მყუდროდ არ მოეწყოს.

დეკორი, სტილიზებული ყლორტი ფოთლით, ავტორს ამოღარული, მოქნილი ხაზით აქვს შესრულებული. ეს პლასტიური ორნამენტი ბეჭედივით აზის თიხის მთელ მოცულობას, ჩახლართულია ფორმასთან, მის განუყრელ ელემენტადაა ქცეული.

დინჯია ეს მყუდრო ქილა, შორიდან მოსული და ძალზე დღევანდელიც. ავტორს მრავალი ნიმუშები აქვს. იგი მხოლოდ შესრულების ტექნიკას ცვლის და ეძებს უკეთესს უკეთესთა შორის.

ჩვენი აზრით უფრო კომპაქტური და მეტად სრულყოფილია შებოლილი ზედაპირიანი ქილა.

კატო ბაბლიძის ნამუშევრების სია ვრცელია და ყველას განხილვა ამ წერილში შეუძლებელია.

შემოქმედი ქალის გონება და გრძნობა კვლავ გაამდიდრებს ქართული საბჭოთა კერამიკის მრავალფეროვან, საქვეყნოდ ცნობილ შესანიშნავ ფონდს.

კერამიკოსი ქალის ნაშრომი ღირსეულად დააფასა სამშობლომ —

წელს ეკატერინე ბაბლიძეს საქართველოს დამსახურებული მხატვრის საპატიო წოდება მიენიჭა.

**ალდე კაკაბაძე,**
**მხატვარი-კერამიკოსი.**

---

* ანგობა ფერადი თიხაა.

* * *

პატარა ია მისთვის გაწვიე,
აკოცე იებს და მაპატიე...
ფიქრი მაქვს, დარდი
შენი გულისა;
იაც ფიქრია
გაზაფხულისა...
შენმა დუმილმა, მუხლდაცემულმა,
— დამივიწყეო! — ვედრება მიყო.
ჰო, ჩემო კარგო, რაც იყო, იყო,
აკოცე იებს და მაპატიე.

## როგორც თოლია...

მარადი ღელვით, შფოთვით, ზათქანით,
ზღვა იყო ჩემი წმინდა აკვანი,
მან დამიქალა პატარა გოგოს
ყვავილ-ყვავილა ყელა ზრახვანი.
მინანავებდა ზღვის ტალღა რხევით,
გულზე მეხვია მზის არტახები.

მე მქონდა ზვირთთა ცისფერი ოდა,
კიბეზე ნისლი ამოდიოდა.
მე ვიზვი ზღვაში,როგორც თოლია,
თქეშში, ავდარში;
წვეთი ვიყავი, მაგრამ არ დავშრი,
მისი მარილი გამომყოლია.

ნანა გვარიშვილი,

## ნურც დაგშრობოდეს იმედის წყარო

შენ უკვე დედა გაძხდარხარ, კარგო,
მე კი პატარა გოგონად გთვლიდი.
შენს სათნო სახეს ღიმილი ქარგავს,
ზოგჯერ კი სევდის შებურავს ბინდი.

ბავშვურ ტიკტიკით,
ბავშვურ თამაშით
ფრთხილად იხუტებ პირმშოს უბეში.
იავნანაში,
ვარდოვნანაში
გამეზრდებაო ჩემი ნუგეში.

„ვაჰ თუ!“..
ვერც ბედავ ფიქრის გამხელას,
ლამის დაგცვივდეს ცრემლი მძივებად;
დედა ხარ, დედა გქვია სახელად
და გულის თრთოლვაც გეპატიება.

დედა ხარ, მოგდგამს დედობის მადლი,
თქვენი დიდება ცამდე აწვდილა;
დედებმა იცით სიცოცხლის ყადრი,
ერთგულება და თავის გაწირვა.

ნაზ მხრებით რამდენ სიმძიმეს ზიდავთ!
მზე ჩაგდგომიათ მკერდში გულებად...
დედაზე ტკბილი, დედაზე წმინდა
სიტყვა ამ ქვეყნად არ მეგულება.

თქვენს უჭკნობ მანდილს ვლოცავ და ვლოცავ,
უფრო სასურველს სხვას ვის ვინატრებთ?
განსაცდელის ჟამს,
ზეიმის დროსაც
თქვენი სახელი გვიძლვის სინათლედ.
...შენ უკვე დედა გამხდარხარ, ქალო,
მე კი პატარა გოგონად გთვლიდი;
ნურც დაგშრობოდეს იმედის წყარო,
სიხარულს თესდე,
სიხარულს მკიდე.

ქსენია მჟავია,
ბათუმი.

## ვარძიის ექო

აქ მე ლურჯი ზღვის მიყვარს ყურება,
აქ იდუმალი დგას მზის ტაროსი...
აქ ერთი წყარო მეჩურჩულება:
— მე სტრიქონი ვარ „ვეფხისტყაოსნის“...

კლდეზე მივყვები დახლართულ ბილიკს,
უხსოვარ დროთა ბედით დალოცვილს...
ყელზე მეხვევა ნიავი დილის:
მე სუნთქვა ვარო „ვეფხისტყაოსნის“...

კლდეები დგანან, როგორც ვეფხვები,
ველი წევს ვარდთა თეთრი სამოსით,
მტკვარს მათი ხმები მოაქვს ზხეფებით;
ფურცლები ვართო „ვეფხისტყაოსნის“.

კრძალვით და რიდით ვარძიას აველ,
(ვერ მოვიშორე ფიქრი ტაოსი)...
ვარძიის ექო მოედო მთა-ველს:
მე ძარღვი ვარო „ვეფხისტყაოსნის“...

ამაყ მთებსა თუ თავმდაბალ ბუჩქებს
ვხვდები ლომგულთა ბედის წყაროსთან...
და ვით ღაღადისს, ვით ლოცვას უჩვევს:
მე მათგან ვისმენ „ვეფხისტყაოსანს“...

ელენე დიდიმამიშვილი

## შთაგონება

არა, ამაოდ აღარ დავლილვარ,
რომ ვხედავ სიბრძნით მაღალ ქარავნებს!
— მე ყველა მუშა, ყველა გლეხი ვარ
და გავაშენებ სოფლებს, ქალაქებს!...

გავლიმებულვარ და მიხარია,
როცა მზის სხივით ყანწებს ავავსებ...
და განა ცოტა? — დიდი ხანია,
რაც დავაბიჯებ ამ ქვეყანაზე!..

მოვიდნენ დღენი თეთრი ირმებით,
ბავშვნი ურჩობენ ცხოვრების დარად...
მე იქ სიცოცხლეს ვეღიმილები,
ხად იალბუზი ყალყზე შემდგარა!

ელდარ მიქაძე,
ქუთაისი.

ქართველი ქალი ბელორუსიაში

# თამარ წულუკიძე

ცნობილმა ქართველმა მსახიობმა —თამარ წულუკიძემ სასცენო მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლო. მისი სცენიური პორტრეტები ღრმად არის ჩანერგილი მაყურებლის მეხსიერებაში, როგორც უმშვენიერესი მოგონება. შემდეგ კი მისი ცხოვრების გზა ისე წარიმართა, რომ საქართველოს გარეთ მოუხდა ყოფნა და ნიჭიერი მსახიობი ქალი იქაც სასარგებლო მოღვაწეობას ეწევა. მან დიდი მონაწილეობა მიიღო რუსეთის ერთერთ შორეულ რაიონში თვითმოქმედი თოჯინების თეატრის ჩამოყალიბებაში. 1946 წლამდე იგი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი იყო.

ხსენებული თეატრი მომსახურებას უწევდა სამშენებლო უბნებს, ქალაქებსა და დასახლებულ რაიონებს: მიკუნს, მედოკს, უხტას, სოლოვიჩეგოდსკს. და თეატრის კოლექტივი ყველგან იხვეჭდა ნორჩ მაყურებელთა პატივისცემასა და სიყ-





ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარულს. ამგვარ სასარგებლო მოღვაწეობას ეწეოდა თამარი კომის რესპუბლიკის დედაქალაქ სიკტივკარშიც. 1955 წლიდან კი თამარ წულუკიძე ბელორუსიაში დამკვიდრდა და ფართო ლიტერატურულ-კულტურულ მუშაობას მოჰკიდა ხელი. იგი აცნობს ბელორუს მკითხველს ქართულ მწერლობას. ამ მიზნით თამარ წულუკიძემ თარგმნა, ალეს პალჩევსკისთან ერთად, თინა დონჟაშვილის რომანი: „ალაზანზე". „ლიტერატურნაია გრუზიას" 1964 წლის მე-9 ნომერში კი გამოაქვეყნა ბელორუსი მწერლების: ვ. ხომჩენკოსა და ა. პალჩევსკის მოთხრობები.

თამარ წულუკიძე მშვენივრად დაეუფლა ბელორუსულ ენას და ხშირად ბეჭდავს წერილებს, ნარკვევებსა და საბავშვო ნაწარმოებებს ბელორუსულ ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის რადიოთი, წერს საბავშვო პიესებს თოჯინებისა და მოზარდმაყურებელთა თეატრებისათვის. ბელორუსული ლიტერატურული საზოგადოებრიობა დიდ ყურადღებას იჩენს ქართველი მოღვაწე ქალისადმი. თამარმა საფუძველი ჩაუყარა ქართული და ბელორუსული საბავშვო ჟურნალების: „დილასა" და „ვესოლკას" გაცვლას. მიიღებენ თუ არა „დილას", „ვესოლკას" რედაქცია თამარს სთხოვს გადათარგმნოს ჟურნალის შინაარსი და იგი სიამოვნებით ასრულებს ამ დავალებას. თამარი ცდილობს ასეთივე ურთიერთობა დაამყაროს სხვა ჟურნალებს შორისაც. ეს კი მნიშვნელოვანი წვლილი იქნება ქართველი და ბელორუსი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობის საქმეში. ამას წინათ თამარ წულუკიძემ ჟურნალ „რაბოტნიცა ი სელიანკაში" გამოაქვეყნა წერილი ქართველი მწერალი ქალის — ცქვიტის შემოქმედების შესახებ. ვრცელ წერილს ამზადებს ჩვენს დიდ პედაგოგ იაკობ გოგებაშვილზე და ბელორუსულ ენაზე თარგმნის იაკობის რამდენიმე მხატვრულ ქმნილებას. ბელორუსიის სახელმწიფო გამომცემლობა 1967 წლისათვის გამოსცემს ქართველი მწერლების (პროზაიკოსების) თხზულებათა კრებულს. ამ კრებულის შედგენა დავალებული აქვს თამარ წულუკიძეს.

მინსკის იანკა კუპალას სახელობის დრამატულმა თეატრმა გასულ წელს ბელორუს მაყურებელს უჩვენა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის პიესა: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". ამ სპექტაკლის შესახებ თ. წულუკიძემ ბელორუსულ გაზეთ „ზვეზდაში" დაბეჭდა რეცენზია. ამ დადგმის გამო ესაუბრა აგრეთვე თბილისელ მკითხველებს გაზეთ „ვეჩერნი თბილისში". რეცენზია დაწერილია დიდი ცოდნით, მასში გადმოცემულია აქტიორის ხელოვნების ყველა ის ნიუანსი, რომელთაც შეიძლება ბუნებით არა არტისტი ვერ ჩაწვდეს, ვერ გაითვალისწინოს...

ცალკეა აღსანიშნავი თამარ წულუკიძის ღვაწლი ბელორუსული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. მხედველობაში გვაქვს მინსკის საბავშვო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნარკვევები, მოთხრობები და, რაც მთავარია, სამი მისი შესანიშნავი წიგნი: „თოჯინების თეატრი სკოლაში", „როდესაც ფარდა აიხდება" და „ცისფერი ჩირაღდანი".

1959 წელს წიგნი — „თოჯინების თეატრი სკოლაში" — გამომცემლობა „ხელოვნებამ" ჩვენშიც გამოსცა სათაურით — „თანამედროვე თოჯინების თეატრი". ეს წიგნი საფუძვლიან, აკადემიურ ნაშრომს წარმოადგენს. იგი ცხოველ ინტერესს იწვევს თოჯინების თეატრისადმი, აყვარებს მკითხველს ამ სასარგებლო ხელოვნებას, ზრდის ბავშვების ინტერესს და სურვილს მოაწყონ სკოლაში თოჯინების თეატრი .

მეტად საინტერესოა საშუალო ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი წიგნი — „როდესაც ფარდა აიხდება" (1963 წელი. ბელორუსიის სასწავლო-პედაგოგიური გამომცემლობა). ავტორი სადა, ფერადოვანი ენით მოუთხრობს ბავშვებს თეატრალური ხელოვნების თავისებურებებზე, მისი განვითარების ძირითად ეტაპებზე, რეჟისორზე, დრამატურგზე, მსახიობზე და, საერთოდ, ყველაზე, ვინც სპექტაკლს ჰქმნის. მწერალს თხრობის მეტად ორიგინალური და თავისებური მანერა აქვს: თბილი, მეგობრული, და რაც მთავარია, იგრძნობა მოზარდთან სიახლოვე, ბავშვის სულის ცოდნა. კითხულობთ ამ წიგნს და გრძნობთ, რომ ავტორი არა მარტო თეატრმცოდნეა, იგი პედაგოგის

# ნინო სესიაშვილი

საწერ მაგიდას მიჯდომია ხანშიშესული ქალი და რვეულებს ჩასცქერის. ხან ეღიმება, ხან ღრმა ჩაფიქრება ეხატება სახეზე, ხან კი რომელიმე რვეულში მოსწავლის ნაწერის ბოლოს წითელი მელნით ლამაზ ასოებს წერს.

ეს რვეულები პირველი კლასის მოსწავლეებისაა. გორის მესამე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ნინო სესიაშვილმა კარგად იცის, რომ თუ ახლავე არ გამოუმუშავა პატარებს კარგი წერის ჩვევა, მერე გვიან იქნება.

ნინო სესიაშვილმა 36 წლის წინათ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მაშინ სკოლაში კომპლექსური მეთოდით ასწავლიდნენ. პირველ ხანებში ნინოს გაუძნელდა ამ მეთოდით მუშაობა. რჩევის საკითხავად იგი სოფელ ფლავიდან ფეხით მიდიოდა ტყვიავის საბაზო სკოლაში, სადაც მუშაობდნენ შესანიშნავი პედაგოგები —დარეჯან ჯავახიშვილი და ნინო კორინთელი.

პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა ნინო სესიაშვილი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. სოფელში კოლმეურნეობა ახლადჩამოყალიბებული იყო. ადამიანებში რომ შრომის დიდი სურვილი გაეღვიძებინა, ნინო მათ უკითხავდა გაზეთებს, ასწავლიდა წერა-კითხვას, ესაუბრებოდა ანტირელიგიურ თემებზე, უხსნიდა სახელმწიფო გადასახადების მნიშვნელობას. მაგრამ სოფელში ჯერ კიდევ იყვნენ ისეთები, რომლებიც ძირს უთხრიდნენ საკოლმეურნეო წყობილებას და შრომაზე გულს უცრუებდნენ პატიოსან, გამრჯე კოლმეურნეებს. ნინო არ ინდობდა ასეთებს, გმობდა, ებრძოდა.

მალე ნინო სესიაშვილი სოფლის კომკავშირლებმა თავიანთ ხელმძღვანელად აირჩიეს. ნინომ დარაზმა ახალგაზრდები და სასარგებლო საქმიანობაში ჩააბა. დღესაც ახსოვს ხალხს, მხარზე ნიჩაბგადებული რომ მიუძღოდა ახალგაზრდების ბრიგადას ნინო მასწავლებელი ტირიფონის არხის მშენებლობისკენ.

1932 წელს ნინო სესიაშვილი სოფელ ტყვიავის საბაზო დაწყებითი სკოლის გამგედ გადაიყვანეს. სიძნელეები დიდი იყო. სკოლას არ გააჩნდა სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები. ნინომ მოიფიქრა საცდელი ნაკვეთი გაეშენებინათ. ეს აზრი პედაგოგებს გაანდო. გაჩაღდა მუშაობა. შემოდგომაზე ტყვიავის სკოლამ დიდი მოსავალი მიიღო. ახლა უკვე ჰქონდათ საშუალება, რომ შეეძინათ სახელმძღვანელოები, სასწავლო ხელსაწყოები, დახმარებოდნენ ღარიბთა შვილებს.

1938 წელს ნინო სესიაშვილი უბრუნდება მშობლიურ ქალაქს — გორს. მას შემდეგ გორის მესამე საშუალო სკოლაში უიმისოდ არც ერთი დღე არ დაწყებულა. მისი აღსაზრდელები ხშირად პირველკლასელები არიან. ისინი არასოდეს არ ხედავენ საყვარელ პედაგოგს შუბლშეკრულს, განრისხებულს.

ნინო გაკვეთილს ხსნის. კლასში სიჩუმეა. უცბად უკანა მერხზე ბიჭუნა აწრიალდა, გვერდში მჯდომ გოგონას მხარი წაჰკრა და გადაულაპარაკა. ნინომ მხოლოდ შეხედა, თვალი გაუშტერა. ბიჭუნამ იგრძნო დანაშაული და გაინაბა.

ყოფილ მოსწავლეებს კარგად ახსოვთ, როგორ გაჰყავდა ისინი ნინოს ბუნების წიაღში, როგორ შეაყვარა მათ მთები, მინდვრები ფოთოლცვენისას ან გაზაფხულზე.

შრომისა და გარჯის მრავალმა წელმა განვლო. რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნინო სესიაშვილი კი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით არის სავსე. მას სურს, ყოველთვის იყოს პატარებთან, ყოველი დღე მათზე ზრუნვაში ღამდებოდეს და თენდებოდეს.

ნინო ბეჟარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტაქტითაცაა დაჯილდოებული. რა წარმტაცად ესაუბრება მოზარდებს პირველყოფილი ადამიანების საღვთო რიტუალებზე, საბერძნეთის თეატრსა თუ დღევანდელ თეატრზე. და ყველგან გამოსჭვივის ღრმა ცოდნა იმ საგნებისა, ადამიანებისა, ეპოქისა, რომლებსაც ეხება ავტორი საუბრისას. ამიტომაა მისი თხრობა ასეთი თავისუფალი და ლაღი.

,,მარტო აქტიორს შეუძლია სიცოცხლე ჩაბეროს პიესას, გადააქციოს მისი გმირები ცოცხალ ადამიანებად", —ამბობს მწერალი ქალი და იწყებს საუბარს იმაზე, თუ როგორ ქმნის აქტიორი სახეს —როლს, რა მძიმე, ხანგრძლივი და თავგანწირული მუშაობით აღწევს იგი მიზანს! ასეთივე გატაცებით მოგვითხრობს თამარ წულუკიძე რეჟისორზე, მხატვარზე, კომპოზიტორზე, გრიმიორზე, რეკვიზიტორზე, მკერავზე, გამნათებელზე...

ასე უნერგავს ნორჩ მკითხველებს ხელოვნებისა და თეატრის სიყვარულს, ასე შეჰყავს ბავშვები იმ სამყაროში, რომლის კარსაც აწერია: ,,გარეშეთათვის შესვლა აკრძალულია", აცნობს თეატრის ყოველდღიური მუშაობის ყველა დეტალს. ,,სანამ ფარდა აიხდება".

კიდევ ერთი საინტერესო წიგნი შესძინა თამარ წულუკიძემ სამეცნიერო-პოპულარულ საბავშვო ლიტერატურას: ,,ცისფერი ჩირაღდანი". ესაა ნარკვევების კრებული, სადაც აღწერილია, სად და როგორ კეთდება ადამიანისათვის საჭირო, გამოსადეგი საგნები; როგორ და რისთვის იყენებენ მას: ბროლის ვაზა იქნება ის თუ ნაძვის ხე, აბრეშუმის ჭია თუ ავტომობილი, ძაფი თუ ნახშირი. თამარის კალამმა თითქოს სული ჩაუდგა, აამოქმედა, ნარნარი, მსუბუქი ენით აალაპარაკა მძიმე, ტლანქი საგნები, ფოლადი და რკინა. და ბავშვიც სრულიად თავისუფლად შედის წარმოებაში, ადვილად ითვისებს მის რთულ პროცესებს.

ხსენებული წიგნის სასიამოვნო აკორდია განყოფილება: ,,რომ ხე ამღერდეს". ესაა შესანიშნავი სათაური წიგნის იმ ნაწილისა, სადაც ხის საკრავებზეა მოთხრობილი. ასეთი საკრავები ხომ ძალიან ბევრია —ნაზი, საამო ჰანგების გამომცემი ხის საკრავები! ცოცხლად, ხმიერად ისახებიან ისინი წიგნის ფურცლებიდან მოზარდის აღქმაში.

,,გაივლის წლები. ადამიანი ალბათ ბევრ ინსტრუმენტს მოიგონებს და გააკეთებს ახალი. ჯერ კიდევ უცნობი მასალისაგან. მაგრამ, დღესდღეობით, ყველაზე გულში ჩამწვდენი არის ის ინსტრუმენტი, რომელშიც ამღერებულია სიმი და ხე. ასეთი ხმები ადამიანის ცოცხალსა და თბილ ხმას ჰგავს", —ასე ამთავრებს მწერალი ამ მშვენიერ ნოველა-ნარკვევს, რომელიც მოზარდის გულში, ესთეტიკურ გრძნობასთან ერთად, ჰუმანურობასაც ნერგავს. ამ ჰუმანურობითაა გამთბარი თვით მსახიობისა და მწერალი ქალის თამარ წულუკიძის გულიც, რომელსაც ორი მოძმე რესპუბლიკის — ბელორუსიისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში საგრძნობი წვლილი შეაქვს.

ბაბო მჭედლიძე,

საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი.

# ყველაზე მაღალი ჯილდო

ეს იყო შარშან. თბილისის აეროდრომიდან მოსკოვისაკენ გაფრინდა თვითმფრინავი, რომელსაც საქართველოს კვების მუშაკები მიჰყავდა. მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კონკურსში. რესტორნებისა და კაფეების ტრესტის მთავარ ინჟინერ-ტექნოლოგს ნონა მჭედლიშვილს 1954 წლის ზაფხული აგონდებოდა. მაშინ ნონა პირველად მოხვდა მოსკოვში. ოქროსმედალოსანმა გოგონამ ატესტატი კულინარიის ინსტიტუტში მიიტანა. დაგაგვიანდაო, — უთხრეს და საბუთები არ მიიღეს. თვალცრემლიანი გამობრუნდა ნონა გასასვლელისაკენ. ის იყო კარის სახელურს წაეტანა, რომ კარში ხანშიშესული მამაკაცი გამოჩნდა. თვალცრემლიანი გოგონა რომ დაინახა, გაკვირვებული მიაჩერდა.

— ვინ გაწყენინა? —ჰკითხა ისე უბრალოდ, რომ ნონას გაეღიმა.

— არავინ, —ძლივს წაილუღლუღა პასუხად და ლოყაზე დაგორებული ცრემლი მოიწმინდა.

— შენ ტირი? —უფრო გაკვირვებით ჩაეკითხა მამაკაცი, ხელი მოჰკიდა და სკამთან მიიყვანა.

— რა მოხდა, აბა, მითხარი!

უცნობს ისეთი კეთილი სახე ჰქონდა, რომ ნონას სურვილი დაებადა მისთვის თავისი წუხილი გაეზიარებინა.

— არ მიმიღეს!— უთხრა და საბუთები გაუწოდა.

— მერე და ამიტომ ტირი? —გაიცინა უცნობმა, —ერთი დახე, მედალოსანიც ყოფილხარ, აბა, შენისთანა კარგ გოგონას ტირილი როგორ ეკადრება! ამ საქმეს კი ახლავე მოვაგვარებთ. მხოლოდ ეს მითხარი, უსათუოდ კულინარიის ინსტიტუტში გინდა შესვლა?

ნონამ მხრები აიჩეჩა.

— დიდი მეტკბილია უნდა იყო, გეტყობა, —თითი დაუქნია უცნობმა, —რას იტყოდი, საბუთები სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში რომ შეგვეტანა? კულინარიის ინსტიტუტში, სადაც შენ გინდოდა შესვლა, მხოლოდ ტკბილეულის დამზადების ტექნოლოგიას ასწავლიან. პლეხანოვის სახელობის ინსტიტუტში კი ყველა კერძის დამზადებას ისწავლი.

— მერე, რომ არ ვიცი, სად არის ეს ინსტიტუტი?

— ახლა სწორედ იქ მივდივარ, შენც წამოდი, მაგრამ ჯერ ცრემლები მოიწმინდე და გაიღიმე. კარგ გოგონას ღიმილი ყოველთვის შვენის.

მალე ორივენი სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში იყვნენ. კეთილი უცნობი სადღაც შევიდა და სულ მალე ჩაბარებული საბუთების ნომერი გამოუტანა, თან გააფრთხილა: ზეგ დილით გასაუბრებაზე არ დაიგვიანოო. ,,ნეტა, ვინ არის, —ფიქრობდა შინისკენ მიმავალი ნონა, — კარგია, რომ არიან ქვეყნად კეთილი ადამიანები. აი, დღეს რომ მადლიანი კაცი არ შეხვედროდა, უკანვე მოუწევდა გაბრუნება და მერე, ვინ იცის, როდის შეაღებდა უმაღლესი სასწავლებლის კარს? შემდეგ, როცა ნონა უკვე სტუდენტი იყო, გაიგო, რომ ეს კაცი პროფესორი ლობანოვი იყო, კერძების დამზადების ტექნოლოგიის კათედრის გამგე.

სწრაფად გაირბინა სტუდენტობის წლებმა. ნონა ინჟინერ-ტექნოლოგის დიპლომით დაბრუნდა სამშობლოში და რესტორნებისა და კაფეების ტრესტში დაიწყო მუშაობა უფროს ინსტრუქტორ-კულინარად. ნონა მჭედლიშვილმა მალე მიიპყრო თბილისელების ყურადღება, დაიმსახურა საპატიო სიგელი და ფასიანი საჩუქარი

...დაიწყო საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კონკურსი. ქართულ კაბებში გამოწყობილი ქალები მაგიდებს შორის დასრიალებდნენ და სუფრას აწყობდნენ. იქვე, შორიახლოს, იდგა ნონა. ახალგაზრდა ქალს ოქრომკედით ნაქარგი კაბა ეცვა. მან რესტორანში მოსულთა გრძელ რიგს გადახედა და მიმტანები გააფრთხილა:

— აი, ესენი ფრანგი სტუმრები არიან. ფრანგებს კარგად შეზავებული წვნიანი საჭმელები უყვართ. ამიტომ უფრო ჩიხირთმა და ჩახოხბილი შესთავაზეთ. არ დაგავიწყდეთ, ქართული სასმელების გვერდით წყლით სავსე სურაც დადგით. ფრანგებს უყვართ კერძზე წყლის დაყოლება. ფინელები უფრო რძის ნაწარმს ეტანებიან, ამიტომ საუზმედ შემწვარი სულგუნი და გადაზელილი ყველი მიუტანეთ, მოსკოველებს კი —სამხარაძის ,,არომატული სუკი" მიართვით.

10053.



ნონამ ახლა სამზარეულოში შეიხედა. ღუმელთან ხანშიშესული მამაკაცი კერძებს გემოს უსინჯავდა.

— ბატონო მიხეილ, ხომ ყველაფერი მზადაა?

— ხუ ღელავ, შვილო, ორმოცი წელია ხელიდან ჩამჩა არ გამიგდია, თავი არასდროს შემირცხვენია და რაღა ამ მოხუცებულობის დროს გამიწყრება ღმერთი, — გულკეთილად გაიღიმა მიხეილმა.

სრულ თორმეტ საათზე ესტრადაზე გაისმა პირველი აკორდები. ქართული ინსტრუმენტული ორკესტრი ასრულებდა რევაზ ლაღიძის სიმღერას თბილისზე. მაგიდებთან ადგილებს იკავებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები. უეცრად ნონამ კარებში მოხუც კაცს მოჰკრა თვალი. „ეს ხომ ლობანოვია, პროფესორი ლობანოვი...“ — გაიფიქრა ნონამ. ლობანოვი დარბაზში დინჯად შემოვიდა, ნელა მოავლო თვალი იქაურობას და განმარტოებით მდგარი მაგიდისაკენ გაეშურა.

— გამარჯობათ, ბატონო პროფესორო — ღიმილით მიესალმა ნონა ლობა´ ვს. —ვეღარ მიცანით?

— გამარჯობათ, გამარჯობათ, — უთხრა თავაზიანად და ნონას დაკვირვებით დააცქერდა.

— აა... გიცანით, როგორ ვერ გიცანით, ქერა გოგონა საქართველოდან! აქ რას აკეთებთ?

— ტრესტის ინჟინერ-ინსტრუქტორი გახლავართ,—მორიდებით მიუგო ნონამ.

— კარგია, კარგი. მაშ, დღეს თქვენი სტუმარი ვყოფილვარ; აბა, ვნახოთ. რა მისწავლებია თქვენთვის, ამაოდ ხომ არ ჩაიარა ჩემმა შრომამ, —უთხრა დიმიტრი ალექსანდროვიჩმა, ნონას კეთილად გაუღიმა და კერძების გასინჯვა დაიწყო.

— ნონა, უცხოელ ამხანაგებს აინტერესებთ, თუ როგორ მზადდება ქართული კერძები და გვთხოვენ ჩავუტაროთ კონსულტაცია, —მოესმა ნონას რესტორან „საქართველოს“ დირექტორის აკაკი თვარაძის ხმა.

ნონა ნელი ნაბიჯით საკონსულტაციო მაგიდისაკენ გაეშურა.

— ჩემს აზრს შთაბეჭდილებათა წიგნით გეტყვით! —სიტყვა დაადევნა ლობანოვმა.

„ალბათ, რაღაც არ მოეწონა“, გულისტკივილით გაიფიქრა ნონამ და ნაბიჯს აუჩქარა. საკონსულტაციო მაგიდასთან მრავალ სტუმარს და დიასახლისს მოეყარა თავი. ისინი ნიმუშად გამოდგმულ კერძებს ათვალიერებდნენ.

ნონას ეგონა, საკონსულტაციო მაგიდასთან დიდხანს არ დაყოვნდებოდა და სულ იმ კუთხისკენ ეჭირა თვალი, სადაც ლობანოვი იჯდა, მაგრამ ცნობისმოყვარე პოლონელ და იუგოსლაველ ჟურნალისტებს მოჰყვნენ სტუმრები ბრაზილიიდან და ფინეთიდან, შემდეგ რუსი მწერლები და ჟურნალისტები დაინტერესდნენ, როგორ მზადდებოდა გემრიელი ქართული კერძები.

ღამის 10 საათი იყო, ნონამ რომ უკანასკნელი სტუმარი კარამდე მიაცილა, ღამე მშვიდობისა უსურვა და დაღლილი მაგიდასთან ჩამოჯდა. მის წინ სქელტანიანი ჟურნალი, შთაბეჭდილების წიგნი იდო. ნონამ გადაშალა რამდენიმე გვერდი.

„გმადლობთ, ძვირფასო მეგობრებო, შესანიშნავად დავისვენეთ. დიდი მადლობა კერძებისა და უბადლო სიმღერებისათვის“, —ეწერა ერთგან. „ძნელია მონახო სიტყვა იმ სიამოვნების გამოსახატავად, რაც რესტორან „საქართველოში“ გატარებულმა დრომ მოგვანიჭა. არასოდეს დაგვავიწყდება ქართული სუფრის შნო, ლაზათი და სტუმართმოყვარეობა“, —ეწერა სხვაგან. იქვე მოსკოველი სტუდენტების მინაწერი დაინახა: „ჩვენ გვიყვარს საქართველო, ქართველი ხალხი, მისი ზნე-ჩვეულებანი. სასიხარულოა, რომ აქ, მოსკოვში ჩვენ ვიგრძენით ქართული სითბო და დიდი ქართული სტუმართმოყვარეობა“.

ნონა უკვე კი არ კითხულობდა, კმაყოფილებით ფურცლავდა შთაბეჭდილებათა წიგნს. უცბად გარკვევით დაინახა ნაცნობი ხელწერა: გაახსენდა პროფესორის სიტყვები —ჩემს აზრს შთაბეჭდილებათა წიგნით გეტყვიო. „ვამაყობ შენით, ჩემო ნონა, ვხედავ, რომ ამაოდ არ დაკარგულა ჩემი შრომა და ეს დიდი ნუგეშია მოხუცისათვის. მადლობა შენ და შენს თანამემამულეებს კარგი კერძებისა და შესანიშნავი მომსახურებისათვის, —ლობანოვი.“

...ქართული სუფრის ოსტატებმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს, მიიღეს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, თვით ნონა ვერცხლის მედლით დააჯილდოეს, მაგრამ ნონასათვის ყველაზე მაღალი ჯილდო მაინც მოხუცი პროფესორის ჩანაწერი სიტყვები იყო.

თინა სულიაშვილი



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შორეულ სამყაროში

პროფესორი ევგენი ხარაძე



მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილი ღამეული ცა მუდამ იზიდავდა ადამიანის თვალსა და გონებას თავისი სილამაზითა და იდუმალებით. ძველად იგი ადამიანში შიშს ჰბადებდა და ცრუ რწმენასაც აღძრავდა. ჩვენს ეპოქაში ცა წარმოადგენს გაცხოველებული და შეუნელებელი კვლევის ასპარეზს. ამჟამად საზოგადოების ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური ძლიერების, ადამიანის ფიზიკური და სულიერი გმირობის გამომხატველი მეტად თვალსაჩინო და დამაჯერებელი აქციები სრულდება ცის მნათობებისაკენ მიმართულ გზებზე, კოსმოსური სივრცის სიღრმეებში.

ვნახოთ, რას წარმოადგენს კოსმოსური სივრცე, რას წარმოადგენენ იქ „გაბნეული“ ციური მნათობები, რა კავშირშია მათთან ჩვენი სამყოფელი — დედამიწა?

კოსმოსური სივრცის ყველაზე მეტად შთამბეჭდავი თვისება მის უსასრულობაშია. დედამიწის გარშემო ყველა მიმართულებით უსაზღვროდ განვრცობილ ამ სივრცეში საოცარი კანონზომიერებით ხრბოლავენ უსასრულო რაოდენობის კოსმოსური სხეულები — ცთომილები, კომეტები, ვარსკვლავები, ვარსკვლავთგროვები, გალაქტიკები...

თუმცა ეს სხეულები სულ რამდენიმე კატეგორიის ობიექტებს წარმოადგენენ, მაინც, ერთი კატეგორიის შიგნით აღებული სხეულებიც ერთიმეორისაგან დიდად განსხვავდებიან. ისევე, როგორც ვერ შეხვდებით ორს სრულიად ერთნაირ ადამიანს, მიუხედავად იმისა, რომ ხერხდება მათი დაჯგუფება ნათესაობის, ეროვნების, ხნოვანების ან სხვა მაჩვენებლების მიხედვით, ასევე ვერ მოძებნით ორ მნათობს, რომლებიც სრულიად ერთნაირი იქნება თავისი ფიზიკური თვისებებით — სიდიდით, ტემპერატურით, სიმკვრივით, ქიმიური შედგენილობით. ამასთანავე, ასტრონომიულ სხეულთა სამყაროში თვისებების სხვადასხვაობა შეუდარებლად უფრო ფართოა, ვიდრე ადამიანთა შორის. მზე აღემატება დედამიწას მოცულობით მილიონ სამასი ათასჯერ, ხოლო ჰერკულესის ალფად წოდებული ვარსკვლავი მრავალ მილიარდჯერ მეტია, ვიდრე მზე. ახლა ტემპერატურას დავხედოთ: მზის ზედაპირის ტემპერატურა ექვსი ათასი გრადუსია. ეს, კოსმოსური მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, დაბალი ტემპერატურაა. მართლაც, შეგვიძლია დავასახელოთ ცის სხეულები, რომელთა ტემპერატურა ასეულ ათასი გრადუსით განისაზღვრება. უსასრულოა მოვლენების ნაირსახეობაც უსასრულო სამყაროს სივრცეში.

ისტორიული განვითარების პროცესში კაცობრიობა თანდათანობით აფართოებდა გამოკვლევისა და შეცნობის ასპარეზს, აღიჭურვებოდა რა სულ უფრო და უფრო ძლიერი ხერხებით და იარაღებით, სულ მეტი ცოდნით. დღეს ასტრონომი ახერხებს ობიექტური მეთოდებით შეისწავლოს იმდენად დაშორებული ციური სხეულები, რომ სინათლე, რომელიც სივრცეში ვრცელდება წამში სამასი ათასი კილომეტრის სიჩქარით, იმ სხეულებიდან ჩვენამდე მოღწევას ექვს და რვა მილიარდ წელიწადს უნდება. ეს ვეება მანძილებია!

ამ მანძილებზეა „გაბნეული“ გიგანტური ვარსკვლავთკრებულები. თითოეულში ათეულ მილიარდობით ვარსკვლავია. ამგვარივე კრებულია ის ვარსკვლავსისტემა, რომელსაც გალაქტიკას ვუწოდებთ და ჩვენს სისტემად მიგვაჩნია, რამდენადაც მზე — ჩვენი ცხოველმყოფელი მნათობი — ამ სისტემას ეკუთვნის, როგორც ერთ-ერთი მისი ვარსკვლავი. უზარმაზარი სივრცეებია ვარსკვლავებს შორისაც. ასე, მაგალითად, მზესა და უახლოეს ვარსკვლავებს შორის მანძილი ოთხზე მეტი სინათლის წლით გამოიხატება. თუ გადავცემდით რაიმე რადიოსიგნალს ამ ვარსკვლავზე და მის უკან დაბრუნებას დავუცდიდით, თითქმის 9 წლის ლოდინი მოგვიხდებოდა.

მაგრამ მიმოვიხედოთ უფრო ახლო სივრცეში, ვნახოთ, რა სხეულებია დედამიწის „მახლობლობაში“. ეს ცნება — „მახლობლობა“, რა თქმა უნდა, პირობითად სახმარებელია ამ შემთხვევაში. მთვარე, მაგალითად, დედამიწის უახლოესი სხეულია და კოსმოსური მასშტაბებით იგი ძალზე ახლოა დედამიწასთან; სულ მხოლოდ ოთხასი ათასი კილომეტრი აშორებს მას ჩვენგან. მაგრამ „მიწიერი“ თვალსაზრისით ეს მანძილიც ერთობ დიდია; ჩვენს მიწიერ პრაქტიკაში ასეთ მანძილებთან როდი გვაქვს საქმე. მთელი დედამიწის ირგვლივ რომ შემოიაროთ, მხოლოდ ორმოც ათას კილომეტრს დაჰფარავთ.

მთვარე გარშემო უვლის დედამიწას, როგორც მისი ბუნებრივი, მარადიული თანამგზავრი. ხოლო დედამიწა, მთვარესთან ერთად, გარემოიქცევა მზის ირგვლივ, რომელიც თითქმის ასორმოცდაათი მილიონი კილომეტრით შორს არის ჩვენგან.

დედამიწის მსგავსად მზის გარშემო მოძრაობს პლანეტებად წოდებული რვა სხვა სხეულიც. მათ შორის არიან დედამიწის მეზობელი პლანეტები: ვენერა, ერთი მხრიდან, მარსი — მეორედან. ეს „მეზობლობა“ გულისხმობს მათ დაშორებას უკეთეს შემთხვევაში ორმოცი-ორმოცდაათი მილიონი კილომეტრით მაინც!

თუმცა დედამიწა და მთვარე, სხვა ცთომილები და მათი თანამგზავრები ერთ ოჯახს, ერთ პლანეტურ სისტემას ქმნიან, რომლის ცენტრალური სხეული მზეა, მაინც ერთიმეორისაგან ისინი დიდად განსხვავდებიან. მთვარე უატმოსფერო და უწყლო სხეულია. ვენერა, პირიქით, გარემოცულია სქელი ღრუბლებით აღსავსე ატმოსფეროთი. ამიტომ მის ზედაპირს ვერასდროს ვერ ვხედავთ; სამაგიეროდ, მარსის გარემომცველი ატმოსფერო საკმაოდ გამჭვირვალეა. ამიტომ ადვილად შეიმჩნევა მარსის პოლარული ქუდები, რომლებიც შედგენილია როგორც ჩანს, თოვლის თხელი საბურველისაგან ან თრთვილისაგან. ზამთრის პერიოდში მარსის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



აბასთუმნის ობსერვატორიასთან

ბურველი ფართოვდება, ზაფხულში—მცირდება. მარსის ზედაპირზე ხშირად შეინიშნება მისი ნიადაგის ამტვერება და მარსის ქარების ზეგავლენით მტვრის ღრუბლების ადგილიდან ადგილზე გადანაცვლება. მაგრამ მარსის ატმოსფერო ძალიან ღარიბია ჟანგბადითა და წყლით, რაც საძნელოდ ხდის მარსზე ცოცხალი ორგანიზმების არსებობას. მაინც, მარსი და ვენერა ჩვენს მზის ოჯახში ყველაზე პერსპექტიული ცთომილებია მათზე ცოცხალი სამყაროს ნიშნების აღმოჩენის თვალსაზრისით.

ყველა სხვა ცთომილი უარეს ფიზიკურ პირობებშია. მერკური, მაგალითად, მოკლებულია ატმოსფეროს; ამასთანავე, მზესთან სიახლოვის გამო, მის ზედაპირზე აუტანელი სიცხეა. დაშორებული ცთომილები — იუპიტერი, სატურნი და სხვები — პირიქით, მოკლებული არიან სიშორის გამო მზის ცხოველმყოფელ სითბოს. საერთოდ, ცთომილები მზისაგან „იკვებებიან“ სითბოთი და სინათლით, საკუთარი სითბო კი მხოლოდ წიაღში გააჩნიათ. ამით განსხვავდებიან ცთომილები ვარსკვლავებისაგან, რომლებიც, მზის მსგავსად, თვითმნათი, გავარვარებული გაზისაგან შედგენილი გიგანტური სფერული სხეულებია.

უზარმაზარი მანძილებია ცთომილებს შორისაც, მაგრამ მხოლოდ წინათ ფიქრობდნენ, ცთომილთაშორისო სივრცე სრულ სიცარიელეს წარმოადგენსო. სინამდვილეში, ამ სივრცეში გაფანტულია უაღრესად გაიშვიათებული პლანეტთაშორისო გაზი და უწვრილესი მყარი ნაწილაკებისაგან შემდგარი „მტვერი“, ამ სივრცეში მოძრაობენ მზის წიაღიდან ამოფრქვეული დამუხტული ნაწილაკები, კოსმოსური სხივები; ამ სივრცეში ვრცელდება ელექტრომაგნიტური ტალღები, თავის გავლენას ახდენენ გრავიტაციული და მაგნიტური ველები. ერთი სიტყვით, პლანეტთაშორისო სივრცე, რომელიც დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენებს ესაზღვრება, წარმოადგენს მრავალფეროვანი მოვლენებითა და ენერგეტიკული ნაწილაკებით მდიდარ ფიზიკურ გარემოს, რომლის შესწავლას უდიდესი თეორიული, შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, მეტადრე იმის გამო, რომ ეს მოვლენები და ნაწილაკები მჭიდრო კავშირში არიან დედამიწის ატმოსფეროსა და მის ზედაპირზე განვითარებულ პროცესებთან, ზეგავლენას ახდენენ მათზე, კერძოდ, რადიოკავშირზე, დედამიწის მაგნეტიზმზე, ამინდსა და მრავალ სხვა მოვლენაზე, რომლებთანაც უშუალოდ დაკავშირებულია განათლებული საზოგადოების ყოველდღიური საქმიანობა.

ჟურნალის მკითხველებისათვის საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასტრონომიის, როგორც მეცნიერების, განვითარებაში საგრძნობი წვლილი შეიტანეს მსოფლიოს მეცნიერმა ქალებმა. ქართველი ქალებიც არ ჩამორჩნენ ამ დარგში. მეცნიერული საზოგადოებრიობის აღიარება მოიპოვეს ქართველმა ასტრონომმა ქალებმა, მრავალი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორებმა, მეცნიერებათა კანდიდატებმა: რამზე ბართაიამ, მადონა დოლიძემ, ნელი კალანდაძემ, ნინო მაღალაშვილმა, ნინო მაღნარაძემ, თამარ მეგრელიშვილმა, ციალა ხეცურიანმა და სხვებმა. ნინო მაღნარაძემ ამას წინათ მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ახლა თამარ მეგრელიშვილი ემზადება დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ეს მას ხელს არ უშლის ვაჟები აღუზარდოს სამშობლოს. ნელი კალანდაძის ქალიშვილი უნივერსიტეტის ფრიადოსანი სტუდენტია. ნინო მაღალაშვილის გოგონები სამაგალითო მოწაფეები არიან. რამზე ბართაია სამ შვილს ზრდის და მათგან უფროსს, მოსწავლეს — ასტრონომია შეაყვარა.

საუკუნეების მანძილზე ადამიანი აკვირდებოდა სამყაროს სხეულებსა და მოვლენებს დედამიწის ზედაპირიდან, ე. ი. დედამიწის ატმოსფეროს „ფსკერიდან“. სამყაროს საიდუმლოებანი ამოიკითხება მნათობთაგან მოსულ სხივებში. მაგრამ, ვიდრე ჩვენს თვალს ან ინსტრუმენტს მოაღწევდეს, სხივმა ატმოსფერო უნდა გამოიაროს, ხოლო ატმოსფეროს ისეთი თვისება აქვს, რომ სხივს ასუსტებს, ერთგვარად სცვლის. ამიტომ, ცხადია, ატმოსფეროში გამოვლილ სხივში ბუნების საიდუმლოებათა სწორად „ამოკითხვა“ ვაძნელებულია. სულ სხვაა, თუ მნათობთა სხივებს კოსმოსურ სივრცეში, დედამიწის ატმოსფეროს გარეთ შევაგებებთ საკვლევ იარაღებს. მაშინ კვლევა შეუდარებლად უკეთეს პირობებში, უფრო სრულად და სარწმუნოდ წარიმართება. კოსმოსური ერის დაწყებამ სწორედ ასეთი კვლევის წარმოება განახორციელა, რაც უსაზღვრო განვითარების პერსპექტივებს შლის სამყაროს შემსწავლელი მეცნიერების წინაშე.

ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სამყაროს სხეულების კოსმოსური სივრცის შესწავლას და ტექნიკურ ათვისებას. კაცობრიობის მომავალი პროგრესი დიდად არის დამოკიდებული ამ შესწავლა-ათვისების წარმატებასა და ტემპებზე. ჩვენი წარმატებები კოსმოსში საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძლიერების საწინდარია. სავსებით გასაგებია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 23-ე ყრილობის გადაწყვეტილება: გაძლიერდეს გამოკვლევები კოსმოსის შესწავლის დარგში და გამოყენებულ იქნას მათი შედეგები პრაქტიკული მიზნებისათვის.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ძლიერებასა და მაღალ დონეს მოწმობს, კერძოდ, ის სამი კოსმოსური ექსპერიმენტი, რომლებიც სულ უკანასკნელ თვეებში ზედიზედ და დიდი ოსტატობით განხორციელდა: მთვარეზე ავტომატური სადგურის მშვიდად დაშვება და მისი იქ ამუშავება; ცხოველების ხანგრძლივი ფრენა და დედამიწაზე დაშვება; და ბოლოს, მთვარის ირგვლივ ხელოვნური თანამგზავრის შექმნა ავტომატური სადგურის სახით.

ამ სამმა ექსპერიმენტმა დიდძალი ახალი მასალა მისცა ასტრონომიულ, ფიზიკურ, გეოფიზიკურ, ბიოლოგიურ და სხვა მეცნიერებებს. ეს აქამდე არნახული, ურთულესი, მაგრამ ბრწყინვალედ შესრულებული კოსმოსური აღსრულებანი გვიახლოვებენ იმ დროს, როცა ავტომატური სამეცნიერო ლაბორატორიები, ობსერვატორიები, კვლევითი ექსპედიციები გამრავლდებიან კოსმოსურ სივრცეში, მთვარეზე, პლანეტებზე, განუზომლად გაამრავლებენ სამეცნიერო ინფორმაციას, გაამდიდრებენ კაცობრიობის ცოდნას, გააადვილებენ თვით ადამიანის მისვლას მთვარეზე და ამნაირად, კიდევ უფრო მეტად განმტკიცდება ადამიანის ბატონობა ბუნების ძალებზე, გაძლიერდება ამ ძალების გამოყენება კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივიწყებულნი

# ეკატერინე ერისთავი-წერეთლისა

**„ზამთრით ჩაგრულნი გაზაფხულს ველით, ვიხარებთ ყოველნი,
ჰხედავთ, შემკულა ბუნება და მწვანით მოსილა ველი“.**

ეკატერინე ერისთავის ეს ლექსი დაწერისთანავე გავრცელდა ხალხში და სიმღერად იქცა. „თუმცა ხალხი სიამოვნებით იმღეროდა ამ ლექსს, მაგრამ როგორც ქალს, ქებას ტაშს მაინც არავინ უკრავდა“, — წერდა დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი.

ეკატერინე ერისთავი-წერეთლისა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოეტი ქალია. მისი ლექსი „უსტარი თ. გ. ერი...“ მიძღვნილი გიორგი ერისთავისადმი, 1852 წლის „ცისკრის“ № 4-ში დაიბეჭდა, ხოლო 1870-72 წლებში, პოეტი ქალის გარდაცვალების შემდეგ, მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ამავე ჟურნალში.

ეკატერინე შვილი იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილის — ივანე ელიზბარის ძე ერისთავისა და პოდპოლკოვნიკ გიორგი ამილახვარის ასულ კონიასი.

ივანე ერისთავი თავისი დროისათვის დიდად განათლებული პიროვნება ყოფილა. იგი ლექსებს წერდა და შვილებსაც მამისაგან გამოჰყვათ პოეზიის ღრმა სიყვარული.

ერისთავების ოჯახთან დაახლოებული ყოფილან: ა. მაჩაბელი, გიორგი იასეს ძე ერისთავი, გიორგი, რევაზ და ზაქარია ერისთავები. ივანე ერისთავს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალ. ჭავჭავაძესთან. ჩვენამდე მოღწეულია ალექსანდრესადმი მუნასიბად თქმული მისი ლექსი.

ივანე ერისთავის ოჯახი პოეტების ოჯახი იყო. მისი მრავალრიცხოვანი შვილებიდან, ორი ქალიშვილი — მარიამი და ეკატერინე ცნობილი იყვნენ ხალასი პოეტური ნიჭით. მათმა ლექსებმა გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველთა ფართო საზოგადოების ყურადღება.

მარიამ ერისთავის ლექსებით მოხიბლული დიდი ქართველი პოეტი გრ. ორბელიანი, 1857 წ. 30-IX დიმიტრი ჯორჯაძისადმი გაგზავნილ წერილში წერდა:

„აბა, ახლა წაიკითხე უკანასკნელს ცისკარში ლექსი კნეინა მარიამ ერისთავისა, ნახე, როგორ მოგეწონოს? ვისი ქალი არის?“

მოგვიანებით კი, აკაკი წერეთელი ივანე ერისთავის ქალების შესახებ აღნიშნავდა:

„ამ ორმოცდაათის წლის წინათ გავარდა ხმა საქართველოში, რომ დიდი ივანე ერისთავის ქალები მშვენივრად გამოზრდილნი არიან, სღვთო-საეროში გაწაფულნი, და ზედმიწევნითაც იციან პლატონის ფილოსოფია, რიტორება, არისტოტელის კათეგორია და სხვა და სხვანი“.

ეკატერინე ცოლად მიათხოვეს ცნობილი ბიბლიოფილის გრიგოლ წერეთლის ვაჟს — ალექსანდრეს; ორი დიდი ოჯახი დაუმოყვრდა ერთმანეთს, მაგრამ ეს ქორწინება სვებედნიერი არ ყოფილა. უხასიათო და ბოროტ ალექსანდრე წერეთელს არაფრად ეპაშნიკებოდა მეუღლის პოეტობა. თურმე „წერეთლები მოელოდნენ დედოფლურად გამოზრდილს ოჯახის ასულს, ყოველს შემთხვევაში, თავდაჭერილს, მაგრამ წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როდესაც ხელში ჩარჩათ პოეტური გრძნობით აღვსილი ახალგაზრდა ცქრიალა ქალი, რომელიც თავს არ იჭერდა, ყოვლისფერს თანაუგრძნობდა, კარგს რასმე შეფრქვევით მიეხაფიფებოდა, ცუდს ზიზღით ზურგს უჩვენებდა და შორდებოდა. ამ გვარი პირდაპირობა, თავდაუჭერლობა და ზედ დართული მოლექსეობაც არ ესიამოვნა ქმარს და ცოლ-ქმარს შუა ცხოვრება გამწარდა“, — წერს აკაკი.

ალექსანდრე წერეთელს ეკატერინე ცალკე დაუმწყვდევია. საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ეკატერინე ერისთავის დაუბეჭდავი ლექსი სათაურით: „ეკატერინე რომ დაატუსაღა თავისმა ქმარმა ალექსანდრე გრიგოლის ძემ წერეთელმა, მაშინ დასწერა ს. საჩხერეს“.

ამ ლექსში პოეტი ქალი მწარედ განიცდის სულიერ მარტოობას და დასტირის თავის ბედს:

**„ვაი ვერღარა ვიხილავ, განქრა ჩემთვის გაზაფხული,
საუკუნოდ მომიმზადეს სამყოფი ბნელი დახშული,
ნაცვლად ლხენის, მქონან ცრემლნი და ჭმუნვით მაქვს სავსე გული,
ველარ ვსუნთქავ ტკბილს ჰაერსა, შვებას სრულად მოკლებული.
ვითარღა ძალმიძს ვითმინო ესდენი ჭირი და სულთქმა,
ვის მონად ვიქმენ, საბრალო, ვის მივეც გული და აღთქმა,
მსხვერპლად ვის უქმენ სიცოცხლე, მრცხვენის აწ მისი გამოთქმა,
ნაცვლად ამ შეწირულების განმეწესა გლოვა-მოთქმა.
მიკვირს ვისთვისღა აცალე ტალანტოვანი გონება,
ფიცით არწმუნე, აღუთქვი უცვალებელი მონება,
გამოუცხადე უზომო სიყვარულისა ქონება,
რომელს ბომონი უწოდე, გულს მიეცი მით ფონება“.**

დრამატურგი გ. ერისთავი ახალგაზრდობაში ეკატერინეთი ყოფილა გატაცებული. მას ბევრი ლექსი მიუძღვნია ეკატერინესათვის. ერთ-ერთ ლექსში ის მომხიბვლელი ფერებით აღწერს ეკატერინეს და განიცდის მის სულიერ მარტოობას, მისი ბედის უკუღმართობას.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები პოეტმა ქალმა თავის მშობლიურ სოფელ ქვეშეს გაატარა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქმართან უსიამოვნების შემდეგ, ეკატერინე მამის ოჯახს დაუბრუნდა.

ეკატერინე გარდაიცვალა 1870 წლის 4 დეკემბერს. დაკრძალულია იკორთის ერისთავთა საგვარეულო სასაფლაოზე.

შვილის სიკვდილით დამწუხრებულ დედას საფლავის ქვაზე შემდეგი ეპიტაფია ამოუკვეთია:

**„ამა ლოდსა ზედა წარვსწერ გლოვის ხმასა,
ეპიტაფიებრ ცრემლ სადენ საწუხ ხმასა.
თუმცა ვერ შევმზადებ ღირს შენდა ქების თქმასა,
ვით დებს მატებდი მარადღე დიდებასა,
დედა ვგოდებ ასულის მოკლებასა.**

**ვით დავითმინო მწუხარებანი,
ეკატერინას მოშორებანი,
მათმან დედამან მოგონებანი
და ვაებისა დამონებანი“.**

ეკატერინე ერისთავის ლექსები: „ახალი დრო“, „ბორჯომზედ“, „ვარანცოვის ძეგლს“, „კნეინა მანანა ორბელიანის ფორტრეტზე“, „ოცნება“, „ჩემს მცნობს“, „მუზნო, მომართეთ, მომეახლენით“ და სხვ. დიდი პოპულარობით სარგებლობდა თავის დროზე. ჟურნალი „ცისკარი“ კი ეკატერინე ერისთავს ცნობილი პოეტი ქალების — ბარბარე ჯორჯაძისა და ნინო ორბელიანის გვერდით აყენებდა: „ჩვენ გვყვანდნენ და გვყავს ქალებიცა, რომელნიცა სწერენ და საზოგადო საქმისათვისაც ზრუნავენ, ოჯახის მოვლის გარდა, — აი, განსვენებული ეკატერინე ერისთავისა, აი, კნ. ბარბარე ჯორჯაძისა, ნინა ორბელიანისა; ჩვენ გვგონია, ასე წერა, როგორაც ამათ უწერიათ, ბევრ მაღალ სასწავლებელში გაზრდილსაც ვერ შეეძლოს“.[1]

ეკ. ერისთავის ლირიკა უთუოდ საყურადღებოა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პოეზიაში. აქვე ვაქვეყნებთ ეკ. ერისთავის ერთ-ერთ ლექსს.

**ლეილა ნანიტაშვილი**



ჭანანა ორბელიანი

## ენიინა ჭანანა ორბელიანის ფორტრეტზე

სატრფოს ფორტრეტსა
ვჭვრეტ ვითა მზესა,
ჰმუნვარეს გულის განმანათლებლად.
მხატვრობა ესე,
შვენებით სავსე,
მგზავსი თუ ოდენ ყოფილხარ ძველად.
ოდესცა ვნახე
მის ტურფა სახე,
მყის განკვირვებით ვიქმენ მოცული,
და ვით შვენიერს,
პლანეტსა ციურს,
ვსჭვრეტდი, შევიქმენ აღტაცებული!
იზიდავს გულსა,
მსხვერპლად გძლევნი სულსა,
ნუ თუ მაღნიტი გქონან თვალებში,
და მისთვის მარად
მყავ მონად მყარად
მაღალ გონებით მჯობმა ქალებში.
უმანკო გული,
კეთილით სრული,
აღატრფობს ყოველთ შენდა საქებრად,
გაქვს შესაფერი,
ეგ ნაზი ფერი,
მოგნიჭებიეს განსაშვენებლად.
ხარ სრული გრძნობით,
განსჯით და ცნობით,
სამაგალითოდ წარმოდგენილი,
ქცევა ქებული
გაქვს დიდებული,
გშვენის: ქალთ მეფედ გყონ დადგენილი!

ეკატერინე ერისთავი-წერეთლისა

# ჩვენს შორის დარჩეს!

ზურაბ რატიანი

იუმორესკა

მაყვალას და ჯოტოს ოქროსი კი არა, ვერცხლის ქორწილამდე ბევრი უკლიათ, თუმცა ისე კარგა ხნის ცოლ-ქმარი არიან. არც მაყვალაა ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავი და არც ჯოტოა ვარსკვლავებთან მოთამაშე. უბრალოდ, დედამიწაზე ცხოვრობენ და ეგაა. ჩვენს შორის დარჩეს, და არც მეგონა, თუ ასეთ ადამიანებზე იუმორისტული რაიმე დაიწერებოდა იმიტომ კი არა, მაყვალა უენო იყოს ან ჯოტო უცხვირო. პირიქით, ორივეს ყველაფერი ადგილზე აქვს — ენაც, ცხვირიც, პირიც, თვალებიც, და ასე გასინჯეთ, კბილებიც. ყოველივე ამას ყველა მათი მეზობელიც დამიმოწმებს და ნაცნობიც. ჰო, მართლა, მეზობელი; რა არ თქმულა და დაწერილა მეზობელზე... კარგიო, ავიო... მოკლედ, საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით კარგმა მეზობელმაც კი ბუნებრივად გაიკვირვა ერთხელ:

— საოცარია, ამდენი ხნის ცოლ-ქმარი არიან მაყვალა და ჯოტო და მათი ხმამაღალი სიტყვა არავის სმენია?!

ამას ყური მოჰკრა ავმა მეზობელმა და არაბუნებრივად ჩაიცინა:

— მართლაც და, რა აქვთ ასეთი გამოულეველი საალერსო?!

მერე ზოგმა ასე და ზოგმა ისე თქვა:

— რა დიდი თანამდებობა ჯოტოს უჭირავს?!

ჯოტოს პატარა თანამდებობა ეჭირა.

— რა ოთხი ქურქი მაყვალასა აქვს?!

მაყვალას არც ერთი ქურქი არ გააჩნდა.

— რა ათი ოთახი მაგათ აქვთ?!

მათ მხოლოდ ორი ოთახი ჰქონდათ და ისიც ულოჯიოდ.

— რა ცინცხალი „ვოლგა“ მაგათ ჰყავთ?!

იმათ ერთი ციცქნა „ზაპოროჟეცი“ ჰყავდათ.

— აბა, რა ეშმაკია ასეთი?! — თანდათან სავდებოდა ჭორი.

— სიდედრ-სიმამრი ჰყავთ ყოვლისშემძლე? — არა!

— ნათესავები? — არა!

— ფული? ა? სალაროში შენახული ბევრი ფული!.. ა?.. ვითომ?! აბა რა! იმ დღეს ჩემი ყურით გავიგონე, მაყვალამ რომ სთქვა: „ის ათი ათასიო!“.

იმ დღეს მაყვალამ მართლა უთხრა ჯოტოს: „ის ათი ათასი რომ ნამდვილად მოგვეგო ლატარიაში, ავეჯს შევიძენდითო“. ოღონდ ეს მაშინ უთხრა, როცა სულ მარტონი იყვნენ და, მიუხედავად ამისა, იმ წამსვე...

— ანიკო! — მივარდა თალიკო მეზობელთან. — ანიკო, ჩვენს შორის დარჩეს და!..

— რა იყო?! — ნერწყვი ჩაყლაპა ანიკომ.

— ჩვენს შორის!..

— აბა, რა, ქალო, პირველად ხომ არ მეუბნები! — იწყინა ანიკომ.

— ანიკო, მაყვალასა და ჯოტოს, ქალო, თურმე ააა... ასი ათასი მანეთი ჰქონიათ სალაროში! — ისეთი სახით უთხრა თალიკომ, რომ...

— აა!! ახალ ფულზე?! — შეიცხადა ანიკომ.

— მგონი... ალბათ... — დაიბნა თალიკო.

— რა „ალბათ“ უნდა მაგას, ახალ ფულზე იქნება, ქალო. აბა რა! — შეუტია ანიკომ.

ბიბლიოთეკა

## გამოხმაურება წერილზე — „ერთი ხაჭაპურის სუფრა“

ნიკოლოზ ჩაჩავა

### ღხინის იერი

თამადა რომ ხარ,
    აარიდე სუფრას ყანწები,
რა თამადა ხარ,
    თუ ადრევე მოიქანცები;
რა თამადა ხარ,
    ვერ გაართობ მასპინძელს,
        სტუმარს,
რა თამადა ხარ,
    თუ ღიღინებ მარტო და ჩუმად.
აბა რად ვარგა,
    დაიძინოს სუფრაზე კაცმა,
შენგან წასულმა
    მოქეიფემ სახლს ვერ მიაგნოს,
ანდა სუფრიდან
    გაქცეულმა, დასჯილმა მკაცრად
იხეტიალოს
    უთავბოლოდ და უიალქნოდ.
ქეიფში უნდა
    შეზარხოშდეს ყველა სტუმარი,
ქეიფს არ უყვარს
    მოქილიკე ან მოჩხუბარი,
პაექრობა და
    მოსწრებული ზმა და ქარაგმა
უნდა შეეწყოს
    სიმღერების შნოს და ბარაქას.
არა ლოთობა,
    მოლხენაა ქეიფი ჩვენი,
ქართველი კაცის
    შნო, იერი და დამნაშავენი.

— აა! მილიონი, აბა მილიონი, ძველ ფულზე?!

— მილიონი?! — ბოღმით გააგრძელა ანიკომ. — აი, რატომ არიან ასე სიამტკბილობით!!..

როცა გულნაჯერები ანიკო და თალიკო ერთმანეთს დაშორდნენ, თალიკომ აღარ ჩასთვალა საჭიროდ ისევ ეთქვა ანიკოსათვის...

„ქალო, ჩვენს შორის დარჩეს!“ — სამაგიეროდ ანიკომ სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო...

— აა? — როგორ თუ ჩემზე ადრე გაიგეო, რუმბივით გასივდა ელიკო.

— აბაა! — გამანადგურებლად მიახალა ანიკომ.

— შე ქალო, იქნებიან ჩუმად, აბა რას იზამენ, ჰმ,უყურე შენ! — ცოფებს ჰყრიდა ანიკო.

— აბაა, მილიონი ძველ...

— ძველ კი არა, ახალ ფულზე, ქალო! — უკვე გაუსწორა ელიკომ ანიკოს.

— ჰო, ქალო, ახალ ფულზე, ოღონდ! — მაგრამ ელიკომ აღარ დაამთავრებინა ანიკოს და...

— ათი მილიონი ახალ ფულზე!.. ოღონდ, ჩემო ნადიკო, ჩვენს შორის!..

ახლა კი ნადიკომ არ აცალა ელიკოს და...

მერე ერთმანეთს ეჩიცებოდნენ პაშიკო, ნინიკო, რუსიკო, გულიკო, დარიკო, მედიკო...

მაყვალა და ჯოტო კი ცხოვრობდნენ ძველებურად.

ჯოტოს, რა თქმა უნდა, ერჩივნა, რომ უკეთესი თანამდებობა ჰქონოდა.

მაყვალას, რა თქმა უნდა, ესიამოვნებოდა, ქურქი რომ ჰქონოდა.

ორივე, რასაკვირველია, ოცნებობდა უკეთეს ბინაზე.

მათი ბავშვები კი ოცნებობდნენ უფრო დიდ ავტომობილზე, რადგან დედა, მამა და ექვსი და-ძმა „ზაპოროჟეცში“ ერთად ვერ ეტეოდნენ. და აი, ერთ დღეს მოხდა არაჩვეულებრივი რამ:

— მაყვალა, შენი ჭირიმე! — მოვარდა შინ გახარებული ჯოტო. — მაყვალა, გენაცვალე, ბინა მივიღეთ! სამი ოთახი!

— აა! — შეჰკივლა ელდანაცემმა მაყვალამ.

— ჰო, გენაცვალე, სამი ოთახი, თანაც ლოჯიით! — ახლა ჯოტომაც იღრიალა.

— ლოჯიით! — ამას კი ვეღარ გაუძლო მაყვალამ და გულწასული ჩაიკეცა.

— წყალი! — იყვირა გამწარებულმა ჯოტომ.

— წყალი! — იყვირეს ბავშვებმა.

—წ-წყალიი!.. —ატირდა სულ პატარა ბიჭი.

მაყვალა მოასულიერეს, ატირებული უმცროსი ბიჭი გააჩუმეს, ნელ-ნელა ყველანი დამშვიდდნენ, ოღონდ...

— გაიგონე, ქალო?! — მივარდა მედიკო დარიკოს.

— აბა! — გულის ფანცქალით დაემოწმა დარიკო.

— ჩვენს შორის დარჩეს და!.. — წამოიწყო გულიკომ.

— ჯოტოს მაყვალასათვის თავში სკამი ჩაურტყამს! — დაამთავრა რუსიკომ.

— ...ოღონდ, არავის უთხრა, ხომ იცი, ქალო!.. — იჯერა გული ნინიკომ.

— რას ამბობ, ქალო?! — შეიცხადა პაშიკომ.

— გაიგე, ქალო!.. — მიახარა ელიკოს ნადიკომ.

— სკამიო?! სკამი კი არა, უთო! — გაუსწორა ელიკომ.

— რას ამბობ, რას, უთო კი არა, თერმოსი ჩაარტყა, ჩემი თვალით დავინახე!

— გული წასვლია მაყვალას!

— თვალი წამოთხრია, უბედურს!

— ქალო, თვალი კი არა, ცხვირი მოუჭამია მაყვალასათვის იმ მხეც ჯოტოს!

— ცხვირი კი არა, ქალო, ტუჩი!

— არა, ქალო, თავი გაუტეხია და!..

— ახლა სისხლის დენას ვეღარ უჩერებს ის ნადირი!

— სასწრაფოს!..

— ჩქარა დავურეკოთ!!..

საკვირველი ის იყო, რომ სასწრაფო მართლა სწრაფად მოვარდა.

თეთრხალათიანების დანახვაზე მაყვალა თვითონაც გათეთრდა.

ჯოტომ კი აუხსნა თეთრხალათიანებს, რომ მაყვალასთვის არც ჩაქუჩი ჩაურტყამს თავში, არც უთო, არც თერმოსი და არც მაცივარი. არც ცხვირ-ტუჩი, ნიკაპი და ყურები მოუჭამია და არც თვალები დაუმსია. მოკლედ, აუხსნა, რაშიც იყო საქმე.

— შე ოჯახაშენებულო, ბინა რომ მივიღო, ცოლს კი არა, მე შემიღონდება გული! — ისე იყვირა ორმეტრიანმა თეთრხალათიანმა, რომ ყველამ დაუჯერა.

ასეთი დიალოგით დიდად დამწუხრებულმა სხვა თეთრხალათიანებმა ერთმანეთს გადახედეს და... ყოველი შემთხვევისათვის მაყვალასა და ჯოტოს მეზობლებს მიაკითხეს.

მეორე დღეს ბედნიერი ოჯახი ახალ უბანში გადასახლდა და ახალ ბინაში შესახლდა.

— ჩვენს შორის დარჩეს და!..

— ჩუ! — პირზე ხელს აფარებდნენ ერთმანეთს პირში ჩალაგამოვლებული მეზობლები.

— რა ძალა ჰქონია!..

— ფული აბა რისი ფულია!..

— ექვსი ოთახი მიუღიათ!..

— ქალო, ექვსი კი არა, რვა ოთახი, ორი ლოჯიით!..

— ახლა „ვოლგა“ გამოჰყავთო!..

— რა დაუშლით, გენაცვალე, რა!..

— ჩუ!

— სუ!

— ჩვენს შორის დარჩეს!

მაგრამ ახლა ეს სულ ზედმეტი იყო. მაყვალა და ჯოტო ამათგან ხომ უკვე ტერიტორიულადაც კი შორს იყვნენ.

ჰო,მართლა, მაყვალამ და ჯოტომ მალე პაწია „ზაპოროჟეცი“ გაჰყიდეს და ახალი ბინისათვის ავეჯი შეიძინეს. ჩვენს შორის დარჩეს და... ეს კი მაყვალას დაჟინებით მოხდა, თუმცა... სუ!.. ჩუ!.., ჩვენს შორის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავეჯი ბინაში

თანამედროვე ბინა, ისევე, როგორც გავრცელებული ავეჯი, უმეტესად ტიპობრივია, ან ყოველ შემთხვევაში, მრავალჯერ მეორდება. მაგრამ ყოველი ბინა ასახავს მისი მფლობელის ინდივიდუალურ გემოვნებას, ოჯახის ხასიათსა და მოთხოვნილებებს. ამიტომ ძნელია და, ალბათ, შეუძლებელიც, ბინის მოწყობის დადგენა და რაიმე რეცეპტების გამოყენება. საკმარისია დავსახოთ ის მიმართულება, რომელიც რაციონალურია და მიღებული თანამედროვე ბინის მოწყობის მხრივ.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში აქამდე გავრცელებული წესი — ბინაში ცალკე სამუშაო (კაბინეტი), სასტუმრო და სასადილო ოთახების გამოყოფისა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ბინა მრავალოთახიანია, რაც საკმაოდ იშვიათია. და სრულიად უაზროა ჩვეულებრივი ორი ან სამოთახიანი ბინის პირობებში. ამჟამად მიღებულ ბინებში მიზანშეწონილია ერთი საერთო ოთახის, ან, როგორც მას ხშირად უწოდებენ, დღის სამყოფელი ოთახის გამოყოფა, დანარჩენი ოთახები კი საძინებლად უნდა იყოს განკუთვნილი. შეიძლება საწოლ ოთახში გამოვყოთ ადგილი გონებრივი შრომისათვის. ეს საშუალებას მისცემს ოჯახის ყოველ წევრს გამოეთიშოს საერთო ოთახის ხმაურს. უნდა ვეცადოთ (თუ კი ეს შესაძლებელია) ოჯახის ყოველ წევრს გამოვუყოთ ცალკე, საკუთარი ოთახი. ვფიქრობთ, რომ ახლო მომავალში, საცხოვრებელი ფართობის ნორმათა გადიდების გამო, ჩვენი დამგეგმარებლებისა და ბინათმშენებლების შემოქმედებითი აზრი სწორედ ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს.

ასეთ ვითარებაში ყველაზე ძნელი მოსაწყობია საერთო ოთახი, რომლის დანიშნულება ძალიან ფართოა. აქ ოჯახის წევრები მუშაობენ, სწავლობენ, სადილობენ, ერთობიან. ეს არის ოჯახის შეკრებისა და გართობის ადგილი. აქ ხდება სტუმრების მიღება და დასვენება.

ცხადია, ყველა ამ ფუნქციათა გათვალისწინება და დაკმაყოფილება საკმაოდ ძნელია და ავეჯის გაწყობაც უნდა იყოს შესაბამისი. მაგიდა და სკამები გამოყოფს სასადილოს ჯგუფს; რბილი სავარძლები, ტახტი, ტელევიზორის მაგიდა — დასვენებისა დ გართობის ჯგუფს. წიგნების კარადა ან თარო და საწერი მაგიდა — სამუშაო ადგილს.

თუმცა დღეს უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული თანამედროვე და ეკონომიური ავეჯის შექმნის მხრივ, მაგრამ მაინც, სამწუხაროდ, ჩვენი ავეჯის ქარხნების პროდუქცია არა მარტო ძვირია, არამედ ხშირად მოძველებული კონსტრუქციის, მოუხეშავი ფორმისა და მძიმე და ნაკლებად მოხერხებულია.

კარგი, მოხდენილი ინტერიერის შესაქმნელად საკმარისი როდია შევიძინოთ ლამაზი და, მითუმეტეს, მდიდრული ავეჯი. რამდენიმე ათეული წლის წინ, ქარხნული გარნიტურების გავრცელების გამო ბინებში დამკვიდრდა გარკვეული მსგავსება.

იმისათვის, რომ შეიქმნას ლამაზი, მყუდრო ოთახი, საჭიროა შევიგრძნოთ ოთახის მასშტაბი, შევარჩიოთ მისი შესაფერისი ავეჯი, ქსოვილები, განათების მოწყობილობა. თვით ავეჯის განლაგება უნდა იყოს დაკავშირებული ოთახის დაგეგმარებასთან, მის სივრცესთან, კომპოზიციასთან. ერთიდაიგივე ავეჯის სხვადასხვანაირი განლაგებით ოთახი შეიძლება გახდეს მყუდრო, ლამაზი და ხალისიანი, ან გადატვირთული და უსახო.

თანამედროვე ბინებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ რაც შეიძლება მეტი თავისუფალი სივრცე, ფართობი. ამისათვის კი უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ აუცილებელი ავეჯით და დაუნანებლად მოვიცილოთ ყველაფერი ზედმეტი, რაც მხოლოდ ტვირთავს ბინას (ზოგი დიასახლისი დამსხვრეულ ჭურჭელს, გაცვეთილ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს სახლში აღარ აჩერებს, მაგრამ დაძველებულ, გაფუჭებულ სკამებსა და სხვა ავეჯს გადასაგდებად ვერ იმეტებს და ეს უკვე უვარგისი საგნები დახროვილი აქვს საკუჭნაოში, აივანზე და ლოჯიაში).

ოთახის განტვირთვას ხელს უწყობს ჩაშენებული ავეჯის მოწყობაც. სასურველია, ეს ჩაშენება განხორციელდეს მშენებლობის პროცესში, ხოლო თუ ეს არ მოხერხდა, შემდეგ, მობინადრის სურვილით. ასეთი ჩაშენებული კარადები იკავებს კედლებისა და ტიხრების უსარგებლო ადგილს და განტვირთავს ბინებს ტანისამოსისა და წიგნების კარადებისაგან. ძალიან მოხერხებულია ე. წ. „სექციური ავეჯი", მისი კომპლექტები ძალ სხვადასხვანაირად შეიძლება აიწყოს ბინის დაგეგმარებისა და ოჯახის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

შერჩეული ავეჯი უნდა დაჯგუფდეს ფუნქციურად, მისი დანიშნულებისამებრ. ახლა ავეჯს კედლების გასწვრივ აღარ ამწკრივებენ, რადგან ეს სივიწროვის შთაბეჭდილებას ჰქმნის, ისევე, როგორც პატარა ოთახის ცენტრში დადგმული სასადილო მაგიდა, რომელიც თავის ირგვლივ ტოვებს მხოლოდ ვიწრო გასასვლელებს და კიდევ უფრო მეტად ამცირებს ოთახს.

მაგიდა ვიწრო მხარით უნდა მივადგათ კედელს. ასე იგი გაცილებით ნაკლებ ადგილს დაიჭერს და საშუალებას მოგვცემს შევქმნათ მყუდრო, იზოლირებული კუთხეები დასვენებისა და საუბრისათვის. სივრცის მოგების მიზნით, უმჯობესია ყოველი მაგიდა დაიდგას კედელთან ისე, რომ სკამი გარედან ექცეოდეს და არა კედელსა და მაგიდას შორის. ასეთ შემთხვევაში სკამის შეწევისას ან აღების დროს საგრძნობლად დიდდება ოთახის თავისუფალი ფართობი. საერთოდ, მიზანშეწონილია დიდი ზომის ავეჯის (კარადები, თაროები) ოთახში დადგმა ე. წ. „ნახევარკუნძულის" პრინციპით (კედელზე ვიწრო მხარით მიდგმით), ეს მოხერხებულია მისი ორმხრივი გამოყენებისათვის და მყუდრო უბნების შესაქმნელად. ამავე მიზნით, საწოლი შეიძლება შეიცვალოს ტახტით ან დივან-საწოლით, რომელსაც მიდგმული ექნება საწოლის თეთრეულის ყუთი. ეს ყუთი გამოიყენება ნათურის ან ლარნაკის დასადგმელადაც.

ოთახში ყველა ავეჯი და მორთულობის საგანი უნდა ეხამებოდეს ერთმანეთს. მათ გარკვეული საერთო ნიშნები უნდა აერთიანებდეს. საკმარისია, თანამედროვე ავეჯის გვერდით მოვათავსოთ თუნდაც ერთი მძიმე, ძველებური საგანი და ოთახის მთლიანობა დაირღვევა. ეს, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს იმას, რომ თანამედროვე ავეჯის გვერდით არ შეიძლება მოვათავსოთ ძველებური სურათი, ლარნაკი ან მორთულობის სხვა ელემენტი. აქ მხოლოდ მხატვრული ტაქტი და გემოვნებაა საჭირო. უფრო მეტიც: ალბათ, ურიგო არ იქნება, რომ ოთახს მივანიჭოთ ეროვნული, განმასხვავებელი იერი. საჭიროა ჩანდეს, რომ ვიმყოფებით საქართველოში, ქართულ ბინაში. თუმცა ამ მნიშვნელოვან თემაზე საუბარს ცალკე ადგილი უნდა დავუთმოთ.

პროფესორი **ირ. ციციშვილი**

# ქალის ორგანიზმი და ფიზიკური ვარჯიში

ადამიანის ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა მისი ორგანიზმის ფიზიკური მდგომარეობის სრულყოფა, რაც ჯანმრთელობის განმტკიცებას, ფიზიკურად განვითარებასა და შრომის უნარის ამაღლებას გულისხმობს.

ორგანიზმის ყოველმხრივი ფიზიკური განვითარება ფიზიკური შრომით, განსაკუთრებით კი ფიზიკური აღზრდის საშუალებებით (ფიზიკური ვარჯიშით, ჰიგიენური რეჟიმითა და ბუნებრივი ფაქტორებით — მზით, ჰაერითა და წყლით) შეიძლება იქნას მიღწეული.

ფიზიკური შრომა და ვარჯიში ყველა ასაკში სასარგებლო ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, მაგრამ მისი გამოყენება მთელი რიგი სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს. ერთერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქალის ორგანიზმის ზოგიერთი ბიოლოგიური თავისებურება, რაზეც ბევრადაა დამოკიდებული კუნთური მუშაობის შესრულება.

ქალის ორგანიზმის თავისებურებათა გარჩევისას უპირველესად საჭიროა შევეხოთ ასაკობრივ ცვლილებებს.

ქალის ცხოვრებაში პირობითად არჩევენ შემდეგ პერიოდებს: ბავშვობის (11 წლამდე), სქესობრივი მომწიფების (12-15 წლამდე), სქესობრივი სიმწიფის (იგი თავისთავად იყოფა პერიოდებად: ახალგაზრდა — 25 წლამდე, საშუალო — 25-40 და გარდამავალი ანუ „კლიმაქტერიული" — 40-50 წელი), ხნიერი (50-60 წელი) და მოხუცებულობის (60 წლის ზემოთ).

ქალის ორგანიზმის ორგანოთა ქსოვილებში თანდათანობითი გადაგვარების პროცესები დაახლოებით 40 წლის ასაკიდან იწყება, რაც ხდება მიზეზი თითქმის ყველა ფიზიოლოგიური სისტემების ფუნქციის თანდათანობითი დაქვეითებისა.

40-45 წლიდან ქალის ორგანიზმში ფუნქციურ შესაძლებლობათა დარღვევა ძირითადად კლიმაქსით არის გაპირობებული. ამიტომ ეს ასაკი ქალებისათვის „კრიტიკულ" ასაკად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამ ასაკში იწყება ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის თანდათანობითი დარღვევა, რაც კარგად ვლინდება თუგინდ ქოლესტერინის ცვლის მოშლაში. ასე, მაგალითად, თუ ჩვეულებრივ, ჯანმრთელი 30 წლის ქალის სისხლში ქოლესტერინის რაოდენობა 163—170 მლ%-ს შეადგენს, 40 წლისათვის იგი 200 მლ%-მდე აღწევს. ქოლესტერინის სისხლში მომატება ცხიმოვანი (ლიპოიდური) ცვლის დარღვევის ერთერთი მაჩვენებელია და იგი გარკვეულად სკლეროზის განვითარებაზე მიუთითებს.

როგორც მამაკაცისათვის, ისე ქალისთვის ფიზიკურ ვარჯიშსა და შრომას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ასაკში, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს ქსოვილთა ბიოლოგიური ტონუსის შენარჩუნებას. სისტემატური, მაგრამ დოზირებული ფიზიკური ვარჯიშით შესაძლებელია რეგულირებულ იქნას ადამიანის ორგანიზმში დარღვეული თითქმის ყველა ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესი

მაგრამ ქალის ორგანიზმი თავისი ფიზიკური განვითარებით თვალსაჩინოდ ჩამორჩება მამაკაცის ორგანიზმს. ასე, მაგალითად, კუნთები ქალებში სხეულის წონის 23%-ს შეადგენს, მამაკაცებში კი — 45%-ს. თვით კუნთის ძალა ქალებისა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მამაკაცებისას. ხოლო კუნთოვანი აპარატის ეს სისუსტე განსაკუთრებით მკვეთრად ვლინდება მხრის სარტყელის, მუცლის პრესის, ზურგისა და მენჯის ძირის კუნთების მხრივ. გულის მუშაობა ქალებში უფრო აჩქარებულია, ხოლო გულის მიერ სისხლძარღვებში გადასროლილი სისხლის რაოდენობა კი შედარებით ნაკლები. ქალის ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა მამაკაცთან შედარებით საშუალოდ 1000 მლ-ით უფრო მცირეა და ა. შ.

იმის გამო, რომ ქალის ნერვ-კუნთოვანი აპარატი შედარებით სუსტადაა განვითარებული, ქალმა ფიზიკური ვარჯიშისა და, შრომის დროს გარკვეულად უნდა შეზღუდოს ძალისმიერი ვარჯიშები, განსაკუთრებით, დიდი სისწრაფის ან დაძაბული და ხანგრძლივი კუნთოვანი მუშაობის პროცესში. მაგალითად, ქალს 100 მეტრზე სირბილის დროს არ შეუძლია ისეთი სისწრაფე განავითაროს, როგორც მამაკაცს, ან შეასრულოს ვარჯიში გამძლეობაზე (სირბილი გრძელ მანძილზე).

სამაგიეროდ, მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები უფრო თავისუფლად ეუფლებიან ვარჯიშს ელასტიურობაზე, პლასტიურობაზე და კოორდინაციაზე.

სისტემატური ფიზიკური ვარჯიშის ზეგავლენით ქალის ორგანიზმი თვალსაჩინოდ განიცდის ფიზიკურ და ფუნქციურ სრულყოფას. ფიზიკური ვარჯიში უზრუნველყოფს ქალის ორგანიზმისათვის დამახასიათებელი შედარებით სუსტი ფიზიკური თვისებების — ძალის, სისწრაფის და გამძლეობის თანდათანობით განვითარებას.

სამეცნიერო გამოკვლევებით დადგენილია, რომ ქალები, რომლებიც წლების მანძილზე სისტემატურად ეწევიან ფიზიკურ ვარჯიშს, განსხვავდებიან არასპორტსმენი ქალებისაგან, როგორც ფიზიკური განვითარებით, ისე ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობით. ფიზიკური ვარჯიში თვალსაჩინო დადებით ზეგავლენას ახდენს ისეთ ფიზიოლოგიურ პროცესებზე, როგორიცაა ორსულობა და მშობიარობა.

მაგრამ, სპორტით მეცადინეობისას ქალმა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გარკვეულად უნდა დაზოგოს თავისი ორგანიზმი ხშირი და ინტენსიური ძალისმიერი ვარჯიშებისაგან, ვინაიდან ამ უკანასკნელმა შესაძლებელია უარყოფითი გავლენა მოახდინოს ქალის ზოგიერთ ორგანოზე.

ქალის ორგანიზმის ანატომიური და ფიზიოლოგიური თვისებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი სპორტული წვრთნა ძირითადად წარმოებდეს სპორტის ისეთ სახეობაში, როგორიცაა სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, ცურვა, თხილამურები, სპორტული თამაშები (კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი), ეჩბოსნობა და მძლეოსნობა

დოცენტი **რ. ხვანიშვილი**

გარეკანზე — მხატვარ პ. დრაჩევის ნახატი, შესრულებული თამარ წულუკიძის წიგნისათვის — „ცისფერი ჩირაღდანი".

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.
ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/VII-66 წ. ქაღალდის ზომა 60×92 ტირაჟი 71.000. შეკვ. 2227. უე 03155 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



№ 1. უბრალო შავი კაბა გაწყობილია სი-
ლონის ორმაგი საყელოთი და სამაჯურე-
ბით





№ 2. კაბის სახელოები გაწყობილია იმა-
ვე ქსოვილის ჩალიჩით („უგუტით").

№ 3. კაბა მოდური კლოკეს ქსოვილი-
საგან. ასიმეტრიული ქვედატანი-ტუნიკა
გაწყობილია ფართო ორმაგი ვოლანით.
წელთან — მოდური მოსართავი

№ 4. შავი და თეთრი ხავერდის კომბინი-
რებული კაბა მაღალი წელით. თეთრი და
შავი ზოლები დაქარგულია მძივებით.





ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

